645
1978

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

თებერვალი
№ 2 1978 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გუშაგი. მოქანდაკე ლ. ვ. შერვუდი.

მთვარისა კერესელიძე

# ჩემი საქართველო

ჩემი საქართველო, —
მამული ჩემი.
ჩემი იყალთო, ზარზმა და გრემი,
ჩემი ურმული, ლილეო, ნანა
აი, ეს არის საქართველო — ჩემი ქვეყანა.
ჩემი საქართველო, —
ედემად რომ რაცხდნენ მგოსნები,
ჭერმოხატული, ფიროსმანის წრფელი ოცნებით,
რაღაც ღვთიურით...
ჩემი საქართველო, — მუდამ მებრძოლი,
რევოლუციური!
არა,
ის ღარიბი არასდროს ყოფილა,
თუმც სულს ინახავდა კაპიკით, გროშობით,
თვით სჭედდა მომავალს გრიგალთა ფრთებიდან
დროშებით, დროშებით, დროშებით!
წლები წლებს, რიტმი რიტმს საოცრად წაება,
მხოლოდდა ბრძოლებით,
მხოლოდდა სიმართლით,
დღეს ახალ ფერხულში ძალუმად ჩაება,
და თვალში ახალი უბრწყინავს სინათლე.
ამ ახალ ჰესებს და ამ ახალ კაშხალებს
აგებს, რომ ვეფხვური ნახტომი დაჩქარდეს,
რომ ფრთა გაუტოლოს დღეის დღის გრიგალებს,
გულზე ხინჯს,
თვალებზე რულს აღარ იკარებს.
თუმცა ჯერ სიმართლის, სიახლის სახელით,
კიდევ გვყავს ზოგ-ზოგი ბოროტის მზრახველი,
მაგრამ გვწამს,
ასე გვწამს,
დიახ, გვწამს, ბოლომდის
რომ ვერ იბოგინებს თვალთმაქცი, ბოროტი!
რომ დაკოურებულმა შრომისგან მარჯვენამ,
სოფლად და ქალაქად სწორი გზა გვაჩვენა.
რომ არ დავფარფატებთ, ვით უცხო ფრინველი,
ბრძოლაშიც, შრომაშიც გვსურს ვიყოთ პირველი.
გვქონდეს პირველობა და მხოლოდ ლელო,
მხოლოდ პირველობა,
კვლავაც პირველობა,
მუდამ პირველობა
მამულო ჩემო!
მოძველდა რითმები, ვარდი და ია.
დღეს სიმართლისათვის,
დღეს სინათლისათვის,
პოეტსაც ხომ მხოლოდ მებრძოლი ჰქვია.
და დღეს ახლებური აზრებით, ეშხით,
რომ გაბრწყინებულა თებერვლის მზეში
და ასე ნათელობს,
ეს არის საბჭოური,
ეს არის დღევანდელი, —
ჩემი — საქართველო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მარიკა ბარათაშვილი

# სიმაღლე

რედაქციაში მოდის წერილები... ერთი მათგანი ახლა ჩემს მაგიდაზე ძევს. წერილის ავტორი გვთხოვს განვუმარტოთ, რ ა ა რ ი ს პ ა ტ რ ი ო ტ ი ზ მ ი.

როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მაგონდება ადამიანი, რომელთანაც ამ ათიოდე წლის წინათ ერთობლივმა საზოგადო საქმიანობამ დამაკავშირა. ჩვენ ხშირად შევხვედრივართ ერთმანეთს, ბევრჯერ გვისაუბრია, მაგრამ ნამდვილად მხოლოდ მისი დაკრძალვის დღეს „გავიცანი."

ვკრძალავდით ადამიანს, რომელსაც თითქოს ერთი შეხედვით რაიმე გმირობა არ ჩაუდენია — თავის პოსტზე უეცრად გარდაიცვალა, მაგრამ ვკრძალავდით, როგორც გმირს. „გმირული სულის", „დიდი გულის", „უანგარო", „კეთილშობილი", „დიდი პატრიოტი" — ისმოდა ირგვლივ და არც მგონია, იმდენი წრფელი ცრემლი ბევრს გაჰყოლოდეს..., იმ სამგლოვიარო პროცესიის ზღვაში თითქმის არავინ იყო, იმ ადამიანის სიკეთე რომ არ ეგრძნო, მისი დიდი გულის მცირე ნაწილი მაინც არ რგებოდა. სწორედ იმ დაკრძალვის დღეს, სიკვდილ-სიცოცხლის გზის გასაყართან ნათლად გამოჩნდა სიმაღლე, რომლისთვისაც ადამიანს თავისი კაცურკაცობით, ჭეშმარიტი პატრიოტობით მიუღწევია.

სიმაღლე!

ყველა ჩვენგანი ესწრაფვის თავის საოცნებო სიმაღლეს, მაგრამ იმ სიმაღლის საყრდენიც და განმსაზღვრელიც ხალხია მხოლოდ.

ყველა გენიოსად, სულმნათად, გმირად როდი დაბადებულა და არც ერთნაირი სამკალი მოეთხოვებათ, მაგრამ ყოველი სიცოცხლე ბუნებისაგან ბოძებული დიდი ნიჭია, რომელსაც ხალხის კეთილი ხსოვნის დიდი თუ მცირე ძეგლი უნდა აგვირგვინებდეს.

რამდენი სიცოცხლე შთაინთქა ომების ხანძრებში... მათს გასაოცარ გმირობაზე, პატრიოტულ თავგანწირვაზე მოგვითხრობენ ჩვენი ერის ცხოვრების მატიანე, წიგნები, ძეგლები, ომების ნაკვალევზე შემორჩენილი საფლავები, ობელისკები, მემორიალები...

მაგრამ პატრიოტიზმი მხოლოდ გმირთა კუთვნილება როდია, რომელიც ქვეყნის უდიდესი განსაცდელის ჟამს ვლინდება ხოლმე. ყოველი პატიოსანი ადამიანი თავისი ოჯახის, სოფლის, ქალაქის, ქვეყნის პატრიოტია, რასაც თავისი ყოველდღიური საქმიანობით ამტკიცებს, და რაც უფრო გულმხურვალეა ეს საქმიანობა, რაც უფრო მეტს აკეთებს თავისი ხალხის საკეთილდღეოდ, მისი მატერიალური და სულიერი ცხოვრების ამაღლებისათვის, თავადაც იმდენად იზრდება და მაღლდება.

ყოველდღიურად მოგვდის ასეთ ადამიანთა გამარჯვების ამბები მათი „საბრძოლო" უბნებიდან, ფაბრიკა-ქარხნებიდან თუ მაღაროებიდან, ველ-მინდვრებიდან, ბაღ-ვენახებიდან, პლანტაციებიდან... თავდადებით ილვწიან ადამიანები კაბინეტ-ლაბორატორიებში, სახელოსნოებში, ავადმყოფის სარეცელთან, სასკოლო მერხთან...

არის კიდევ ერთი საბრძოლო უბანი ჩვენი ცხოვრებისა...

მაგრამ, მოდით, წერილის ავტორს მოვუსმინოთ:

„ომს ჩვენ არც მოვსწრებივართ — გვწერს თ. ვ. — მამაჩემი იმ ომში მონაწილეობდა და საბრძოლო გმირობისათვის ჯილდოებიც დაიმსახურა. ახლაც სახელოვნად შრომობს. თითქოს ამ მშვიდობიან პირობებში უნდა დამშვიდებულიყო, მაგრამ მისთვის „ომი" ჯერაც არ დამთავრებულა— სულ ბობოქრობს, მეც მეჩხუბება, პატრიოტი არა ხარო, შრომა არ გიყვარსო, უყაირათო ხარო, გულგრილიო. — მე, რაც მევალება ვაკეთებ — ე. ი. ვსწავლობ და მართალი გითხრათ, მამაჩემის ამ წვრილმანებთან გაუთავებელი ომი დონკიხოტობად მიმაჩნია..."

მამა შვილს უსაყვედურებს, პატრიოტი არა ხარო, შრომა არ გიყვარსო, უყაირათო ხარო, გულგრილიო...

შვილს მამის ყოველდღიური ბრძოლა „წვრილმანებთან" დონკიხოტობად მიაჩნია.

„წვრილმანები", „წვრილმანები"..., რომლებიც დაახლოებით ასე წარმოგვიდგენია:

... ადამიანმა რაღაც მოგპარა, გამოგძალა. დღეს იმდენად მცირე, რომ გეუხერხულა ხმის ამოღება. იქნებ იმიტომაც გეუხერხულა, რომ იცი, მას აქვე გამოუჩნდებიან გულმოწყალე მოსარჩლეები და პირში ბურთს ჩაგჩრიან: „რა ქნას, მაგის ცოლ-შვილს რჩენა არ უნდა?" ჩუმდები და ათას საზრუნავში გართული, არც კი ფიქრობ, რომ დღეს დიდი ცოდვა ჩაიდინე — ადამიანს ციხისკენ უბიძგე ხელი.

... ავტობუსში მძღოლს ბილეთის ფული გადააწოდე. სახელმწიფოს ხარჯზე გულმოწყალება გამოიჩინე და ბილეთი არ გამოართვი — შენსავით ხომ ბევრი იქცევა! მაგრამ იმაზე არ ფიქრობ, რომ ასეთი წამგებიანი ავტობუსი შეიძლება რეისიდანაც მოიხსნას (მის საჭიროებას ხომ გაყიდული ბილეთების რაოდენობა განსაზღვრავს). და გარდა ამისა, დღეს თუ ხვალ მგზავრებსშორის გამოჩნდება ისეთიც, ვინაც მძღოლს მის კუთვნილ ხელფასსაც დააკარგვინებს და ოჯახსაც ულუკმაპუროდ დაუტოვებს. ამრიგად, შენ ზიანი მიაყენე სახელმწიფოსაც, შენს თავსაც და მძღოლსაც.

წვრილმანებია? ვითომ?

... ქალაქის გარეუბნიდან ცენტრისკენ მოდიხარ. შენს წინ შავ გამონაბოლქვში გახვეულ საბარგო მანქანებსა თუ ავტობუსებს მძღოლები არხეინად მიაქროლებენ. ხედავ, როგორ იწამლება ისედაც მოწამლული ჰაერი და ისიც იცი, რომ ეს დანაშაული მანქანის მოუწესრიგებლობის გამო ხდება. რომ, ეტყობა, ეს ამბავი არც სათანადო დაწესებულებების ხელმძღვანელებს აღელვებთ, არც გზის პირას ჩამწკრივებულ მილიციელებს — ყურადღება რომ სხვა კატეგორიის დარღვევებზე გაუმახვილებიათ. და მაინც სდუმხარ.

... შენს უბანში, იქნებ ეზოშიაც ცხოვრობს ადამიანი, რომელიც მობინადრეთა



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწ. ... ბიბლიოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზრით, კეთილ საქმეს არ უნდა სჩადიოდეს. მტრის ამ ბუნაგის აფეთქებას მცირე ვაჟკაცობა როდი ჭირდება, მაგრამ „მეზობლის მკვდარი მეზობელს მძინარი ეგონაო“, სანამ ამ მიცვალებულის სუნს ჩვენს ბინაში არ შემოუღწევია და ჰაერი არ მოუწამლავს...

... ზღაპრულად იზრდება, მხრებს შლის და მაღლა მიიწევს ჩვენი დედაქალაქი. შენდება და გიკვირს, რომ ჯერ კიდევ საკმაო ბინით დაუკმაყოფილებელი გვყავს, მაგრამ ეზოებში შევიხედოთ, სადაც პაწაწკინტელა ქოხმახები სკებივით არის ერთმანეთზე მიყრილი! ეს ჩაშავებულ-ჩაყანგებული შენობები ქალაქსაც ხომ ამახინჯებენ, მაგრამ აბა, ხელი ახლეთ! — თითოეული ეზოს მოწესრიგებას, თითო მრავალბინიანი სახლი დაჭირდებოდა. ჩანს, ჩვენი „სათაყვანებელი“ (როგორც სადღეგრძელოებში ვამბობთ) დედაქალაქის მიწა მტკაველ-მტკაველ გაგვიყიდია.

... რუსთაველის გამზირს ახალგაზრდა ქალი მიუყვება. მოპირდაპირე მხრიდან მას შეზარხოშებული ყმაწვილი მიუახლოვდა, „გენაცვალე“! ეშხიანად დაიღრიალა ყმაწვილმა და ქალიშვილის მოსახვევნად ხელი გაშალა, „**Дикарь**“, მიიღო მან საპასუხო „ქათინაური“. კარგა ხანს ბობოქრობდა რუსთაველის შთამომავალი რუსთაველის გამზირზე და თავისი მაღალი კულტურის დამადასტურებლად ჩვენი სულმნათი წინაპრების სახელებს იშველიებდა, რა მაკადრა რუსთაველის შთამომავალსო...

დიახ, ასეთი „წვრილმანები“, რომლებიც მკითხველებშიც უამრავ ასოციაციას გამოიწვევს, აღელვებს თურმე სამამულო ომში ნაბრძოლ ადამიანს.

სამწუხაროდ არის კიდევ უფრო დიდი მასშტაბის მოვლენები, რომლებშიც ეს „წვრილმანები“ იკარგებიან. ყველაფერი კი წვრილმანით იწყება და ამ შეუმჩნევლობის, შემწყალებლობის, გულგრილობის თუ უნიათობის გარემოცვაში აღწევენ დიდ მასშტაბებს, რომლებსაც ზოგჯერ ადამიანების კეთილ სახელთან და სიცოცხლესთან ერთად, ქვეყნის სახელი და ღირსებაც ეწირება.

ინდოეთის მრავალ კასტათა შორის არის ერთი: მისი წევრები რწყილსა და ბაღლინჯოს ხელს არ აუქნევენ, რა ქნან, მათაც ხომ ჭამა უნდათო. არც ქვეწარმავლისაგან იცავენ თავს, იქნებ მასში ჩემი მიცვალებულის სულია და ის მეხვევა და მიალერსებსო, და მხოლოდ შემდეგ. სასიკვდილოდ დაშხამულები ითხოვენ შველას.

შეუძლებელია ყველაფრის ჩამოთვლა, რაშიც ჩვენდა საზიანოდ ჩვენვე ვცოდავთ და სულ ვიღაცას ვაბრალებთ ან ვავალებთ, დიდი თავი გაქვს და იტირეო.

სიცოცხლე უდიდესი ნიჭია, რომელიც მხოლოდ ერთხელ ეძლევა ადამიანს და საბრალოა ის, ვისაც არ უზრუნია თავისი მარადიული სიცოცხლის დასამკვიდრებლად შვილებსა და შთამომავლობაში, ვისაც არ უზრუნია თავისი ადამიანური სიმაღლის მისაღწევად თავისივე თავის, ოჯახისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ — ადამიანური სიმაღლისა, — პატრიოტიზმად რომ იწოდება.



# რა არის პატრიოტიზმი?!



**ლადო გუდიაშვილი,**
სსრ კავშირის სახალხო მხატვარი,
სოციალისტური შრომის გმირი.

სამშობლოს სიყვარული, მისთვის თავდადება ოდითგანვე მოსდევს ადამიანს.

ძნელია სამშობლოს გარეთ ყოფნა, ამას საკუთარი გამოცდილებით ვამბობ. განუზომელი იყო ჩემი სიხარული, როდესაც 1926 წელს დავტოვე პარიზი და საბჭოთა საქართველოს, ჩემს საქართველოს მოვაშურე!..

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. და ეს წლები სავსენი იყვნენ ბრძოლით, შრომითა და... ტკივილით. არ დაგიმალავთ, ტკივილითაც. მაგრამ იმ წლებს იმედიანსაც ვარქმევ, მაიმედებდა ის, რომ ჩემი ხალხის ინტერესებისათვის არასოდეს მიღალატნია, რომ ჩემი მრწამსისათვის არასოდეს გადამიხვევია.

ჩვენ — ხელოვნების ოსტატნი მოწოდებულნი ვართ, ადამიანის ცხოვრების გზა მშვენიერებით გავაცისკროვნოთ, ვაზიაროთ ხელოვნებისმიერ ბედნიერებას. მოწოდებულნი ვართ დავეხმაროთ მუშასა და გლეხს, ინტელიგენციასა თუ ახალგაზრდობას.

სამშობლოს სიყვარული, პატრიოტიზმი, უმაღლეს გამოხატულებას ხალხის ინტერესებისადმი ერთგულებაში ჰპოვებს.

სახელმწიფო აშენებს, ვითარდება. შენც მილიონების გვერდით იღვწი, შრომობ, ჭაპანს ეწევი და ამით იხდი კაცურ ვალს მშობელი ქვეყნის წინაშე.

ჭეშმარიტად ვხარობ, რომ საბჭოთა ქვეყანამ ნამუსიანი შრომით, პატიოსნებით, მაღალი მორალური თვისებებით აღჭურვილი თაობები აღზარდა. ეს თაობები თვალისჩინივით უვლიან საკუთარი. მშობლი ერის ღირსებას, და, ამავე დროს პატივსა სცემენ და უყვართ მოძმეები.

ხშირად მეკითხებიან, რამ განაპირობა ჩემს ტილოებსა თუ გრაფიკულ ფურცლებზე, ჩაის, მანდარინის, ყურძნისა თუ ფორთოხლის მკრეფავ ქალთა აფროდიტესებური სილამაზე?

ჩემი პასუხი ასეთია:

მათმა გარჯილობამ, მათი ძლიერი სულის მშვენიერებამ და კარგმა ქალობამ შთამაგონა. შრომა მათ ისე ამკობთ და ალამაზებთ... ჩაისა და ნარინჯოვანთა ფონზე, ისინი მართლაც ეჯიბრებიან აფროდიტეს სიტურფეში.

ჭეშმარიტებისაკენ ილტვის ხელოვნება, და, როდესაც ახალი ქვეყნის მშენებელთა უტყუარ პორტრეტსა ჰქმნი, ამით ცხოვრებას და პოეტურ ზეშთაგონებას ერთმანეთს უწყვილებ. მხოლოდ-დამხოლოდ ამ მართალი ხელოვნებით, მაღალი პატრიოტული სულისკვეთებით შექმნილი ნაწარმოებები შესძლებენ გადაუქროლონ დროსა და სივრცეს, ჭეშმარიტება ჩააგონონ ადამიანებს, აალელვონ მათი მზიანი სული. ასეთ ქმნილებებს, ხელოვნების ასეთ შედევრებს ძალუძთ გადმოსცენ მშობლიური ქვეყნის ბუნება, წესჩვეულება, ეშხი და იერი მშობელი ხალხისა.

ამჟამად უილიამ შექსპირის პორტრეტებზე ვმუშაობ. ამ გენიალური მწერლის შედევრებთან სიახლოვემ, ხელახლა განმაცდევინა ხალხთა სულიერი მეგობრობისა და ურთიერთ სიყვარულის გრძნობა...

უკვდავთა სიბრძნე, გმირთა ძლიერება, მშვენიერთა სიტურფე შექსპირმა გენიალური ხელით ჩამოაქანდაკა. და ამ ქანდაკებებში, პლანეტის ყოველი ერი ნახულობს თავისი ერის საუკეთესო ნიშანთვისებებს. იმას, რაიც ერთმანეთთან აკავშირებს კაცობრიობას.

და, როდესაც ამ გენიალურ ქმნილებებს ვასურათხატებ, ვფიქრობ ამითაც ვავლენ ჩემს თაყვანისცემას მშობელი ქვეყნისადმი, მშობელი ხალხისადმი.

გვიყვარდეს ჩვენი ქვეყანა, ვიშრომოთ მის საკეთილდღეოდ, და ეს ჩვენი სამაგალითო ქცევა მემკვიდრეობად დავუტოვოთ მომავალ თაობებს!

# რა არის პატრიოტიზმი?!



**მარიკა ლორთქიფანიძე,**
პროფესორი.

სამშობლოს სიყვარული ერთ-ერთი ყველაზე უკეთილშობილესი გრძნობაა—გრძნობა, რომელიც დიდ ეროვნულ ტრადიციასა და მაღალ მოქალაქეობრივ შეგრძნებას ემყარება. სამშობლოს სიყვარული არ აიწონება მხოლოდ ერისა და ქვეყნის სამსახურში მიტანილი წვლილის ოდენობით. პატრიოტიზმის საზომია ის, თუ თავის შესაძლებლობათაგან, ვინ რა გააკეთა სამშობლოსათვის, თავის შესაძლებლობანი რამდენად მოახმარა მშობელი ქვეყნის სამსახურის დიდ საქმეს.

საქართველოს ისტორია ჩვენ წინაპართა სისხლითაა ნაწერი. მთელი ჩვენი არსებობის მანძილზე ქართველი ხალხი იარაღით ხელში იცავდა ეროვნულ დამოუკიდებლობას და ერის საუკეთესო შვილები ამ ბრძოლას ეწირებოდნენ. ისტორია სათუთად ინახავს იმ სახელოვან წინაპართა ხსოვნას და მადლიერი მემკვიდრეები მდაბლად ხრიან თავს მათი მამულიშვილობის წინაშე.

პატრიოტიზმი სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარად ვლინდება, ყველა ეპოქა თავის მოთხოვნებს უყენებს მამულიშვილებს. როდესაც ქვეყანას იარაღით ესაჭიროებოდა დაცვა, მაშინ უპირველესი ამოცანა მტერთან ბრძოლა, ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნება იყო.

არაბთა უღელქვეშ მყოფ ქართველებს, დიდი ქართველი მამულიშვილი იოანე საბანისძე VIII საუკუნეში ეროვნული დამოუკიდებლობისა და თვითმყოფობის დაცვისაკენ მოუწოდებდა; საქართველოს გარეთ, უცხოეთის ქართულ ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე ქართველი ბერები სამშობლოსათვის წიგნების თარგმნითა და გადაწერით ილვწოდნენ და „ყოველთა ქართველთათვის“ ლოცულობდნენ.

თურქთა მიერ დაპყრობილ სამხრეთ საქართველოში ოსმალები ქართული მოსახლეობის გამაჰმადიანებასა და გაოსმალებას ცდილობდნენ. ქართველმა ხალხმა ამას მშობლიური ენისა და მშობლიური დამწერლობის შენახვა-შენარჩუნება დაუპირისპირა. ქართველი დედა სიკვდილისა და ოჯახის ამოწყვეტის შიშის ქვეშ შვილებს ნანას ჩუმად ქართულად უმღეროდა, დედაენას, ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდა, ქართულ გვარს ამეორებინებდა და ამახსოვრებდა.

ირანის უღელქვეშ მოქცეული ქართლის სამეფო ტახტზე 1632 წლიდან გამაჰმადიანებული ბაგრატიონები ისხდნენ. ირანის გავლენის მომძლავრებას, გამაჰმადიანებული როსტომ მეფის მეუღლემ, დედოფალმა მარიამმა ირანელთა მიერ დანგრეული ეკლესია-მონასტრების აღდგენითა და „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებზე ზრუნვით უპასუხა. ხოლო როსტომის თანამედროვე თეიმურაზმა იმავე ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლას დედის, შვილებისა და საკუთარი სიცოცხლე შესწირა.

პატრიოტიზმის მთავარი საფუძველი სამშობლოს სიყვარულია, სამშობლოს სიყვარულისათვის კი საკუთარი ქვეყნის ისტორიის ცოდნაა საჭირო. ყოველმა მოქალაქემ უნდა იცოდეს თავისი ქვეყნის ისტორია ზუსტად, როგორიც ის სინამდვილეში იყო. ქართველ ხალხს მდიდარი ისტორიული წარსული აქვს, ამასთანავე ჩვენ ხალხს მძიმე ისტორიული წარსული აქვს. ვისაც აქვს სურვილი და პრეტენზია იყოს ინტელიგენტი, მან თავისი ერის ისტორია უნდა იცოდეს, მას თავისი სამშობლო უნდა უყვარდეს. გული სტკიოდეს მის ნაკლზე, აწუხებდეს მისი ბედი, ეამაყებოდეს მისი სახელოვანი და გმირული წარსული. ამასთანავე ინტელიგენტი პატივს უნდა სცემდეს სხვა ხალხებს, მაგრამ სხვისი პატივისცემა მხოლოდ მას შეუძლია, ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტი მხოლოდ ის შეიძლება იყოს, ვინც პირველ რიგში თავისი ქვეყნის მოყვარული და პატრიოტია.

სამშობლოსათვის ყველამ ის უნდა გააკეთოს, რაც შეუძლია და რასაც დრო მოითხოვს. მაგალითად, დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ სამშობლოსათვის მოსწავლეებს თავისი სოფლის, რაიონის წარსულისა და აწმყოს შესწავლით, მათი სოფლის გამოჩენილ ადამიანთა, სამშობლოს წინაშე დამსახურებულ პირთა ბიოგრაფიული ცნობების მოძიებითა და გამომზეურებით, სოფელში ან მის შემოგარენში არსებული ისტორიული ძეგლების მოვლითა და დაცვით, ხალხში არსებული ისტორიული გადმოცემის ამსახველი მასალების შეგროვებით, სოფელში არსებული ხელოსნური ტრადიციების აღდგენითა და შესწავლით... ეს იქნება მათი წვლილი ერის კულტურულ საგანძურში, ეს იქნება მათი პატრიოტიზმის გამოვლინება და დადასტურება.

ჩვენი თაობის წინაშე დიდი ისტორიული ამოცანა დგას. ისტორიამ ჩვენ საპატიო და რთული მისია დაგვაკისრა, ჩვენ კაცობრიობის საუკეთესო მომავალს ვაშენებთ. ჩვენმა მომავალმა თაობებმა, ჩვენმა მემკვიდრეებმა იმ საზოგადოებაში უნდა იცხოვრონ, რომელიც დღეს ჩვენი ძალებით შენდება და ყველა ჭეშმარიტი პატრიოტის ვალია, თავისი წვლილი შეიტანოს ამ დიდ და კეთილშობილურ საქმეში.

მასწავლებელმა ასწავლოს მთელი თავისი ცოდნისა და უნარის გამოყენებით, მშენებელმა აშენოს კარგად და მკვიდრად, ლამაზად და გემოვნებით, მეცნიერებმა იკვლიონ ჩვენი თანამედროვეობისა და მომავალი საზოგადოების ცხოვრებისა და განვითარების კანონები და კანონზომიერებანი, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებულმა რჩეულმა ადამიანებმა შექმნან ჩვენი ეპოქის ამსახველი და ამ ეპოქის შესაფერისი ქმნილებანი, მეურნემ კეთილსინდისიერად იშრომოს ხალხის დოვლათის შესაქმნელად, და ყველამ თავისი საქმის კეთილსინდისიერად შესრულებით მოიხადოს თავისი მამულიშვილური ვალი დედა-სამშობლოს წინაშე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა არის პატრიოტიზმი?!



**მიხეილ ქვესელავა,**
პროფესორი.

პატრიოტიზმი რომ სამშობლოს სიყვარულს ნიშნავს, ეს ყველას კარგად მოეხსენება. საქმე ის არის, ვინ როგორ გამოხატავს ამას: ლიტონი სიტყვებით თუ საქმით. საანბანო ჭეშმარიტებაა: სიტყვას მაშინ აქვს ძალა, როცა საქმით არის განმტკიცებული. აბა, ცარიელ სიტყვებს რა ფასი აქვს? — არც არაფერი! მართალია, უწინ ამბობდნენ, „პირველად იყო სიტყვაო“, მაგრამ შემდეგ გაასწორეს და თქვეს: არა „პირველად საქმე იყოო“.

ჩვენში, საქართველოში ამ ორ ცნებას, — სიტყვას და საქმეს არასოდეს არ უპირისპირებდნენ ერთმანეთს. პირიქით, სულხან-საბა ორბელიანი ამბობდა: „სიტყვანი საქმეთანიო“, ილია ჭავჭავაძე კი „საქმით მეტყველი სიტყვაო“. მთავარი აქ, მართლაც, საქმეა, თორემ ჯიხვის ყანწის ჩაპირქვავების წინ, ვითომ სამშობლოს სადიდებლად წარმოთქმული „პატრიოტული“ სადღეგრძელოები, ისევ ილიას გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ცარიელი სიტყვების მეტს არაფერს გვანიშნებს“.

ნამდვილი პატრიოტიზმი კი ადამიანის წმიდათა-წმიდა გრძნობაა. იგი ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილის მოვალეობაც არის და პასუხისმგებლობაც. ისიც არა მარტო საკუთარი ერის, არამედ მთელი კაცობრიობის წინაშე. დიახ, კაცობრიობის. ყოველთვის ასე ფართოდ ესმოდათ პატრიოტიზმი ჩვენს სახელოვან მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. მაგალითისთვის თუნდაც ვაჟა-ფშაველა ავიღოთ. მისი შეხედულებით, ნამდვილი პატრიოტი ის არის, ვინც „თავის ერს ემსახურება კეთილ-გონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ. ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას“.

ან ასე:

„ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალ-ღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქნება მთელი კაცობრიობისათვის“.

ამგვარი პატრიოტული გრძნობის ჩანერგვა და განმტკიცება, ვაჟას აზრით, უწინარეს ყოვლისა, ოჯახის საქმეა. იგი წერს:

„პატრიოტი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლისთანა გრძნობა, თითქოს დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს... როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას გარდა ჰაერისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე საზრდოდ, ნანა — მოსასვენებლად... ყველა ეს ხდება ოჯახში დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა“.

ასეთია დედის უპირველესი მოვალეობა როგორც საკუთარი ოჯახის, ისე ერისა და სამშობლოს წინაშე. ასეთივე მოვალეობა აკისრია სკოლას, გარემოს, საზოგადოებას. მათ უნდა აღუზარდონ პატრიოტთა ღირსეული თაობა ჩვენს ქვეყანას, ყოველი ჩვენთაგანიც მოწოდებულია პირნათლად მოიხადოს თავისი პატრიოტული ვალი სამშობლოს წინაშე. ამისთვის, უწინარეს ყოვლისა, ცხოვრების სწორი გზის არჩევაა საჭირო: ნათქვამია: „ცდომილებისაკენ ათასი გზა მიდის, ჭეშმარიტებისაკენ კი მხოლოდ ერთიო“. ასეა. ადამიანი იბადება, როგორც ათასგვარი შესაძლებლობა. ამათგან ხორციელდება მხოლოდ ერთი, ის, რაც მისი ცხოვრების პარაბოლას წარმოადგენს. გზის მანათობელი ვარსკვლავი კი ნამდვილი პატრიოტული გრძნობა, სამშობლოსა და ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვაა. რითი? კაცმა რომ თქვას, სულერთია: „გონებრივ, ქონებრივ თუ ზნეობრივი“, როგორც ვაჟამ ბრძანა.

ეს კი ასეა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს შორის არიან ისეთი ხელმრუდი ადამიანებიც, რომელნიც მთელი თავიანთი სიცოცხლის მანძილზე ცდომილებათა იმ უღრანში დაეხეტებიან და ზიანის მეტი არაფერი მოაქვთ ხალხისა და სამშობლოსათვის. სავალალოა მათი ბედი. ისინი გაურბიან საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას. არ იციან, რომ პატიოსანი შრომა, ისევ ვაჟას სიტყვებით რომ ვთქვათ, „შნოსა და ლაზათს აძლევს სიცოცხლეს... სიხარულსა და ბედნიერებას ანიჭებს ადამიანებს“.

ვისაც ეს ვერ შეუგნია, ვერც სიხარულს ეღირსება ამქვეყნად და ვერც ბედნიერებას. პირიქით, იგი გააუბედურებს თავის თავს, ოჯახს; ჩირქს მოსცხებს თავის ერს, სამშობლოს, მის გულში ვერასოდეს ვერ დაიბუდებს ნამდვილი პატრიოტული გრძნობა, ხალხისა და ქვეყნის სიყვარული. ასეთი ბედუკუღმართი ადამიანი ვერც ვერასოდეს შეიგნებს ვაჟას პატრიოტულ მოწოდებას: „გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, ილვაწე მის საკეთილდღეოდ!“ მათთვის ეს მხოლოდ „ცარიელი სიტყვებია“. და თუ ამგვარი ნაძირალები მომრავლდნენ, შეიძლება მთელი ერის ღირსება შეილახოს. მაშინ კი იქნებ საგანგაშოდაც იქცეს ვაჟას ბრძნული შეგონება: „როგორც უნდა იფიქრეთ: ერთი კაცი იმას ვერ იკადრებს, რასაც მთელი ერი კადრულობს“.

ეს რომ არ მოხდეს, უფრო ღრმად უნდა ჩავუფიქრდეთ თვითონ ვაჟას ოქრო სიტყვებს: „თუ მთელი ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა მთელი კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა. თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველი ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურება გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში“ .

ყოველი ჭეშმარიტი პატრიოტისათვის ასეთი „სალაროს“ კარები მუდამ ღიაა. საქმე ის არის, ვინ რას შემატებს მას: მე თუ მკითხავთ, ბევრს, ძალიან ბევრს, თუ კი ილიას რჩევას მივყვებით:

კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე,
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო,
აბა დღეს მე ვის რა ვარგე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# რა არის პატრიოტიზმი?!



**ვახტანგ ჭელიძე,**
მწერალი,
გაზეთ ,,ლიტერატურული საქართველოს“
რედაქტორი.

პატრიოტიზმი სამშობლოს სიყვარულს ნიშნავს. ასეა განმარტებული ლექსიკონებში.

მაგრამ თვით ცნება სამშობლოს სიყვარულისა ძალიან ფართოა, მთელს მის შინაარსსა და მნიშვნელობას რამდენიმე სიტყვით ვერ გამოთქვამ და ვერ გამოხატავ. ,,პატრიოტიზმს“ რომ წაიკითხავ ან გაიგონებ, პირველად, შენდა უნებურად, გაგახსენდება ჩვენი დიდებული გმირები, რომელთაც თავი გასწირეს სამშობლოსათვის. წარმოგიდგება ცოტნე დადიანი, თედორე, სამასი არაგველი, ცხრა ძმა ხერხეულიძე... ისინი, როგორც მაღალი ზნეობისა და ჭეშმარიტი პატრიოტიზმის მაგალითი, თან მოჰყვებიან ჩვენს ისტორიას და სულ ახალ და ახალ თაობებს ზრდიან, ასპეტაკებენ და ამაღლებენ: ამ შესანიშნავმა გმირებმა იცოდნენ, რომ გარდაუვალი სიკვდილი ელოდათ და უკან მაინც არ დაიხიეს, არ შეშინდნენ, მამულისათვის დასდეს თავი. ასევე მოიხსენიებენ მათ — მამულისათვის თავდადებულნით.

ჩვენი ისტორია სავსეა ასეთი თავდადებული გმირების სახელებით. სამშობლოსათვის ასეთი თავდადების არა ერთი გმირული მაგალითი გვიჩვენეს ჩვენმა თანამედროვე, საბჭოთა ადამიანებმა, რომლებიც სახელოვანი წინაპრების ღირსეულ მემკვიდრეებად მოგვევლინენ, შარავანდით გასხივოსნებული მათი სახელებიც უკვე ჩაიწერა ისტორიაში, შთამომავლობისათვის ასევე მაღალი ზნეობის მაგალითად იქცა.

მაგრამ, როგორც ითქვა, სამშობლოს სიყვარული გაცილებით უფრო ფართო ცნებაა და მარტო მამულისათვის თავის განწირვით არ განისაზღვრება; იგი მარტო სიცოცხლის მსხვერპლად მიტანით როდი კმაყოფილდება, გაცილებით უფრო მეტი ეკუთვნის და მეტსაც მოითხოვს.

მეტს მოითხოვსო, როცა ვამბობთ, ის კი არ იგულისხმება, თითქოს შეუძლებლისა და არაადამიანურის გაკეთებას მოითხოვდეს; აქ იგულისხმება უსაზღვრო და უგულწრფელესი ერთგულება, იმ გრძნობის გაძვალრბილება. რომ ყოველი შენი მოქმედება, ყოველი ნაბიჯი ცხოვრებაში სამშობლოსა და მშობელი ხალხის ღირსებისა და სახელის წმინდად შენახვასა და ამაღლებას ემსახურებოდეს; ამას შეუფარდო და შეუგუო შენი ხასიათი, შენი პირადი მიზნები და მისწრაფებანი, შენი ცხოვრების წესი... შენი ზრახვანი და ოცნებანი იმ საზღვრებს არასოდეს გადასცდეს, რაც სამშობლოს — ამ ,,უწმინდესი ხატის“ — ღირსებას ოდნავადაც კი შებღალავს და ჩრდილს მიაყენებს...

ამის მიხედვით, ყველა პატიოსანი მოქალაქე პატრიოტი უნდა იყოს. ზოგჯერ დიდ საზოგადოებრივ საქმეში გამოიხატება ეს პატრიოტიზმი, ზოგჯერ — მცირეში. ზოგს ცხოვრება მეტს დააკისრებს, ზოგს — ნაკლებს; ამას მნიშვნელობა არა აქვს, თავისი ნიჭისა და უნარის მიხედვით ყველა ერთგულად, პატიოსნად უნდა ემსახუროს თავის სამშობლოს, თავის ხალხს, თავის წარსულსა და მომავალს, ყველა თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდეს სამშობლოს ღირსებასა და სახელს.

ჯვრის მონასტრისა და სვეტიცხოვლის ამგებს უფრო დიდი როლი დააკისრა ცხოვრებამ და ისტორიამ, მაგრამ ის მევენახეები თუ გუთნისდედები, რომელთაც ვენახის მოვლისა და პურის მოყვანის ან ღვინის დაყენების თავისებური წესები გამოიმუშავეს და ქართულ ღვინოსა და პურს საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი, განა ნაკლები პატივისცემის ღირსნი და ნაკლები პატრიოტები არიან!

რევოლუციამდე, როცა საქართველოში არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ იყო, განათლების მისაღებად ჩვენი ახალგაზრდები სხვადასხვა ქალაქებში მიდიოდნენ ხოლმე — პეტერბურგში, მოსკოვში, კიევსა და ოდესაში, უცხოეთის მრავალ ქალაქში... ეს იყო ქართველი ახალგაზრდების ცხოვრების ბრწყინვალე ფურცელი და ამაზე განსაკუთრებით უნდა შევაჩეროთ ყურადღება. იგი უსათუოდ იმსახურებს, რომ საგანგებოდ გავიხსენოთ ხოლმე. რადგან ეს არის იმის შესანიშნავი მაგალითი, თუ ჩვეულებრივი ცხოვრებითა და ადამიანებთან უბრალო ურთიერთობით, როგორ შეიძლება სახელი გაუთქვა შენი ქვეყნისა და ხალხის ღირსებას, როგორ შეაყვარო შენი ქვეყანა სხვას, როგორ აამაღლო შენი ხალხი სხვის თვალში. ოფიციალურ საბუთებს, მემუარებს, პირად წერილებს, ზეპირ გადმოცემებს ცოცხლად შემოუნახავთ იმის ფაქტები, რომ ქართველი ახალგაზრდები ყველგან — სასწავლებლებშიაც, ოჯახებშიაც, საზოგადოებაში — სანატრელი სტუმრები იყვნენ. თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, სამშობლოს ღირსება შეებღალოთ, პირიქით, დიდი შრომისმოყვარეობით, პატიოსნებით, სამართლიანობით, პრინციპულობით, კეთილშობილებით, გაზრდილობით, მეგობრობითა და ჭეშმარიტი ინტერნაციონალური სულისკვეთებით მათ თავიანთი ქვეყნისა და ხალხის ღირსება შორს განავრცეს, სახელი გაუთქვეს.

აი, რა არის პატრიოტიზმი, სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარული! აი, რა უნდა დავსახოთ მისაბაძად!

სულ უფრო და უფრო ვხდებით იმის მოწმე, თუ როგორი წარმატებით გამოდიან ჩვენი სპორტსმენები საერთაშორისო შეჯიბრებებში. და მუდამ სიხარულსა გვგვრის, როცა პრესაში ხაზგასმულია არა მარტო მათი სპორტული წარმატებანი, არამედ მათივე ადამიანური ღირსებანი — პატიოსნება, კეთილშობილება, რაინდული სული, თავშეკავება, მეგობრული სულისკვეთება. სხვა ქვეყანაში მოხვედრილი ადამიანი უფრო მეტად მოექცევა ხოლმე ყურადღების ცენტრში და მეტი პასუხისმგებლობაც მართებს, რადგან იგი იქ თავისი ხალხის წარმომადგენელია, თავისი ხალხის სახელით გამოდის და ზოგი ადამიანური სისუსტე, რაც საკუთარ ქვეყანაში იქნება უფრო ადვილად ეპატიოს, სხვაგან არ მიეტევება, რადგან ამით იგი საკუთარ თავს კი არ არცხვენს (მას იქ არც იცნობენ), არამედ თავის ქვეყანას და ხალხს არცხვენს.

ყოველთვის განსაკუთრებული გმირობა და თავის განწირვა როდია საჭირო, რომ სამშობლოს სახელი გაუთქვა და შენი ხალხის ღირსება აამაღლო.

როცა ჭეშმარიტ პატრიოტიზმზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება იქვე არ ვახსენოთ ყალბი და ცრუ პატრიოტიზმი. უნდა ვახსენოთ იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, მოგვიმრავლდნენ ცრუპატრიოტები. სამშობლოს სიყვარული მუდამ საქმით უნდა დამტკიცდეს და არა საათიანი სადღეგრძელოებით. ჩვენ კი მოწმენი ვართ, და ძალიან ხშირადაც, როცა თავად ულირსი ადამიანი, რომელიც თავისი ცხოვრებითა და მოქმედებით საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ღირსებას ბღალავს, როგორ მგზნებარედ გვიმტკიცებს საქართველოს სიყვარულს...

არ შეიძლება სინამდვილეს თვალი დავუხუჭოთ.

როგორც ითქვა, ასეთი სადღეგრძელოები ძალიან ხშირად გვესმის, მეტისმეტად ხშირადაც! იმ ხალხს კი, ვინც ასე გულმხურვალედ გვიმტკიცებს საქართველოს სიყვარულს, თითქმის ვერასოდეს ვერ ნა-

# რა არის პატრიოტიზმი?!

ხავთ ვერც ქართული ხელოვნებისა თუ საისტორიო მუზეუმებში, ვერც ქართველ ხელოვანთა კონცერტებსა თუ სპექტაკლებზე, ვერც ქართული ხელოვნების უძველეს ძეგლებთან მოწიწებით მისულს... სიყვარულსაც საქმით სჭირდება დამტკიცება, ფუჭი ლაპარაკი და გულში მჯიღის ცემა არასოდეს ყოფილა სიყვარულის ნიშანი. დიახ, ნამდვილი პატრიოტიზმი იმასაც გულისხმობს, გიყვარდეს ყველაფერი, რასაც შენი ხალხი ქმნის, რაც საკაცობრიო კულტურის საგანძურში უნდა შევიდეს. რამდენიც არ უნდა ილაპარაკოს კაცმა სამშობლოს სიყვარულზე, რა საათიანი სადღეგრძელოებიც არ უნდა წარმოთქვას და, გულაჩვილებულმა, რა მდუღარე ცრემლებიც არ უნდა აფრქვიოს, თუ იგი წლების განმავლობაში იმისათვის ვერ მოიცლის, რომ საოპერო და დრამატულ თეატრში შევიდეს, კონცერტი მოისმინოს, მუზეუმები დაათვალიეროს, ჟურნალში ახალი ლიტერატურული ნაწარმოებები წაიკითხოს, წიგნის მაღაზიაში შეიაროს და ახალი წიგნი მოიკითხოს, ახალი კინოსურათი ნახოს... ასეთი ადამიანი ვერა და ვერ ჩაითვლება ჭეშმარიტ პატრიოტად. რადგან ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაწარმოებთა შექმნა კი არ არის მარტო ჭეშმარიტი პატრიოტიზმის გამოხატულება, არამედ მისი სათანადო დაფასებაც. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სტუმრის თვალისთვისაც კი უხერხულია, როცა სპექტაკლი თუ კონცერტი ცარიელ დარბაზში მიმდინარეობს და მაყურებელი არ ესწრება, ეს არა მარტო „პასიური დამოკიდებულებაა" შენი კულტურის მიმართ, არამედ არცხვენს და სახელს უტეხს მას.

ეს უსათუოდ ხაზგასმით უნდა ითქვას, რადგან იგი ჩვენი ნაკლია და გამოსწორება სჭირდება.

და ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი საკითხი.

როცა პატრიოტიზმზე ვლაპარაკობთ, ისიც უსათუოდ უნდა ითქვას, რომ სამშობლოსავე სიყვარული გვავალებს ჩვენივე ნაკლოვანებანი გულახდილად ვთქვათ და ვაღიაროთ. ეს აღზრდის ერთ-ერთი ფორმაა. როცა ცალკეულ ნაკლს გულისტკივილით აღნიშნავ და მის გამოსწორებას შეეცდები, ეს უკვე პატრიოტიზმის ჭეშმარიტი გამოვლინებაც არის და წინსვლის გარანტიაც.

ამას მუდამ გვასწავლიდა დიდი ილია — ჩვენი უპირველესი პატრიოტი და მამულიშვილი.

ბევრ რამეს გულისხმობს პატრიოტიზმი. ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია. ზოგადად უფრო ადვილად მოახერხებ ამის განსაზღვრას: უნდა იყო შენი ქვეყნისა და ხალხის ერთგული შვილი, მუდამ გახსოვდეს, წმინდად დაიცვა შენი ხალხის ღირსება, და თანდათანობით გამოიმუშაო იმის უნარი, რომ მიხვდე: როდის რა სჭირდება შენს ქვეყანასა და ხალხს!





გივი ყირმელაშვილი,
დოცენტი.

უცხოეთში ყოფნისას ერთი დიდი შეჯიბრების დაწყების წინ ჩვენს გუნდთან თბილისიდან უცხოეთში მცხოვრები შუახნის მამაკაცი მოვიდა.

— ბიჭებო, ოღონდ მაგათ მოუგეთ და ჩემს თავს მეორედ დაბადებულად ჩავთვლი... გვთხოვა მან გამოთხოვებისას.

ჩვენმა ბიჭებმა მართლაც, რომ შესანიშნავად იასპარეზეს და დიდი გამარჯვებაც მოიპოვეს. დარბაზში მყოფი 12 ათასი მაყურებელი ფეხზე იდგა (მილიონობით ტელევიზორში უყურებდა), საზეიმოდ ჟღერდა ჩვენი ქვეყნის დიადი ჰიმნი, ფლაგშტოკზე აღმართული ჩვენი სამშობლოს წითელი დროშა კი სულ მაღლა მიიწევდა.

ჩვენი ბიჭები ამაყად იდგნენ გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ეს იყო დაუვიწყარი სანახაობა, რომლის მსგავსი არასოდეს მენახა. სწორედ მაშინ იყო, რომ მაყურებელთა შორის იქ მცხოვრებ თანამემამულეს შევასწარ თვალი, მის სახეზე უდიდეს სიხარულთან ერთად დიდი გულისტკივილიც ამოვიკითხე, თვალზე მუხთალი ცრემლი უთამაშებდა. სწორედ მაშინ გავიფიქრე, თუ რაოდენ დიდია სამშობლოს სიყვარული და რა მძიმეა სამშობლოსთან დაშორება.

მაშინ გავიფიქრე იმ დიდზე დიდ მისიაზე, რომელსაც სპორტი ასრულებს.

და მართლაც, სპორტი უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს მილიონობით ადამიანს, ამავე დროს ამეგობრებს და აკავშირებს ხალხებს. დღეს სპორტი გასცდა სანახაობას, სპორტი პოლიტიკა და სოციალური მოვლენაა.

სპორტი პოლიტიკაა იმიტომ, რომ სპორტი იმ წყობის პირმშო და იმ იდეების მატარებელია, სადაც ის იშვა. განა ნებისმიერ კაპიტალისტურ ქვეყანაში ჩვენი დიადი სამშობლოს პატივსაცემად წითელი დროშის მაღლა აწევა და ჩვენი ქვეყნის დიადი ჰიმნის ჰანგები, რომელსაც ათასობით ფეხზე ამდგარი ადამიანი ისმენს (მილიონობით ტელევიზიით უყურებს), ჩვენი სოციალისტური სისტემის უპირატესობის საუკეთესო პროპაგანდა არ არის?

საბჭოთა ტანმოვარჯიშეების ამერიკაში საჩვენებელი გამოსვლების დროს, ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" წერდა: „ოლღა კორბუტის, რუსუდან სიხარულიძის და მათ თანაგუნდელთა გამოსვლებმა მთლიანად გაადნო ცივი ომის ყველა ნარჩენი".

იტალიის კომპარტიის ერთ-ერთი ლიდერის თქმით, იმ დროს, როდესაც იტალიაში ჩატარებულ მოჭიდავეთა ჩემპიონატში 10 წონითი კატეგორიიდან 8 ოქროს მედალი ჩვენმა სპორტსმენებმა მოიპოვეს, იტალიის კომპარტიის რიგებს რამდენიმე ასეული ახალი წევრი შეემატა.

სპორტი სოციალური მოვლენაა იმიტომ, რომ ის ხელს უწყობს პიროვნების ფორმირებას, პიროვნებისა, რომელშიც ჰარმონიულად იქნება შერწყმული სულიერი და ფიზიკური სიმტკიცე, მორალური და მოქალაქეობრივი ღირსება, პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი.

არსად ისეთი სიდიადით არ მჟღავნდება ადამიანის სულიერი და ფიზიკური ძალების ჰარმონია, ადამიანის ნებისყოფა, თავგანწირვა, მეგობრობა და ურთიერთდახმარება, როგორც ეს სპორტშია.

1952 წ. ქ. სვერდლოვსკში საბჭოთა კავშირის პირველობა ტარდებოდა. ჩვენი გუნდის მშვენებას, საბჭოთა კავშირის თერთმეტგზის ჩემპიონს მზია ჯუღელს, პირველსავე იარაღზე თითი ეღრძო. ყველანი დავღონდით, რადგანაც მზიას გარეშე ჩვენს გუნდს დიდი მარცხი ელოდა. ექიმთან მისვლაზე მან უარი განაცხადა (იცოდა, რომ მოხსნიდნენ შეჯიბრებიდან). მას იქვე სპეციალური ხსნარით თითი გავუყინე და შევუხვიე. ასე გრძელდებოდა ყოველი იარაღის შემდეგ, ფიზიკური და სულიერი ძალების მაქსიმალური დაძაბვით მან მაინც დაამთავრა შეჯიბრება. მზია ჯუღელმა გუნდს საჭირო ქულებიც მოუტანა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ორი ოქროს მედალიც მოი-

# რა არის პატრიოტიზმი?!

პოვა, ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო. როდესაც შეჯიბრების შემდეგ ექიმებმა მზიას მტევანი ნახეს, არავის არ სჯეროდა, თუ ასე რუმბივით გასიებული ხელით შეჯიბრებაზე გამოსვლა შეიძლებოდა.

ამ შემთხვევაში რაიმე საგანგებო არაფერი მომხდარაო, იტყვის ნამდვილი სპორტსმენი. მზია ჯოღლემა იცოდა, რომ ის ჭირდებოდა გუნდს და სხვა ყველაფერი: არაადამიანური ტკივილის მოთმენა, ფიზიკური და ფსიქიკური ძალების მაქსიმალური მობილიზება, უდიდესი ნებისყოფა და თავდადება, ყოველივე ეს გუნდისა და სამშობლოს ინტერესებიდან გამომდინარე იყო.

დიახ, ასეთია სპორტი, რომელიც უდიდეს ნებისყოფას, პატრიოტიზმსა და სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულს უნერგავს ადამიანს.

პატარა გოგონა ან ბიჭუნა, რომელიც თავისი ჯგუფის სახელით სკოლის პირველობაზე გამოდის, თავისი კლასის, გუნდის ინტერესების დამცველი ხდება. იმთავითვე ეყრება საფუძველი მისი, როგორც მოქალაქისა და პატრიოტის ჩამოყალიბებას და ასე თანდათან, კლასის, სკოლის, უბნის, ეზოს, ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე ის სამშობლოს ნამდვილი პატრიოტი იზრდება.

მასში უკანა პლანზე იწევს პირადი, სულ წინა პლანზე კი საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი მოვალეობა გადმოდის, მაგრამ გუნდში ის ხომ მარტო არ არის, მასთან ერთად სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც არიან. მათთან ერთად ცხოვრება, ვარჯიში, შეჯიბრება, ერთი მიზანსწრაფვა, მასში ინტერნაციონალისტსა ზრდის. ქართული გუნდი ერთი მთლიანი შეკრული, მონოლითური კოლექტივია, სადაც ყველა ერთი ინტერესებით და ერთმანეთზე დაყრდნობით ცხოვრობს.

განა ეს არ არის ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდა?! დიახ, ასეთია სპორტი. სხვანაირი ის არც შეიძლება იყოს, რადგანაც თუ არ იქნა ერთიანი მიზანსწრაფვა, ერთიანი სულისკვეთება, იქ არც დიდი გამარჯვება იქნება.

მაგრამ გამარჯვება სპორტში თვითმიზანი როდია. ბურჟუაზიული სპორტისაგან განსხვავებით ჩვენ გვაინტერესებს გამარჯვება თანასწორ და პატიოსან ბრძოლაში, სადაც რაინდული შერკინება და მეგობრული სული ტრიალებს. გამარჯვებულში ჩვენ პირველ რიგში ადამიანი და მოქალაქე გვაინტერესებს, რომელშიც ფიზიკური ძალა შერწყმულია კეთილშობილებასთან, ინტელექტთან და დიდ შინაგან კულტურასთან.

განა ყველას არ გვინახავს მოკრივეთა ულმობელი ბრძოლის შემდეგ, ერთი წუთის წინ „მოსისხლე“ მტრების მეგობრული გადახვევა, განა გამარჯვებულს დიდ გამარჯვებას პირველი დამარცხებული სპორტსმენი არ ულოცავს? ასე იქცევიან ნამდვილი სპორტსმენები. აქაც უდიდესი სიდიადით ვლინდება ადამიანის რაინდული სული, პატიოსნება და კეთილშობილება.

განა თითოეულ მშობელს არ სურს, რომ სწორედ ასეთი შვილი ჰყავდეს? სწორედ ამიტომ დიდი გულისტკივილით ვუყურებ, როდესაც მშობელი გატაცებულია შვილის მუსიკალური, ესთეტიკური და ჰუმანიტარული აღზრდით. ივიწყებს ყველაზე მთავარს — მოზარდის ჯანმრთელობას. ჩვენ არავითარ შემთხვევაში მუსიკის, ხელოვნების, ენების წინააღმდეგი არა ვართ, მაგრამ ყოველივე ეს არამც და არამც ჯანმრთელობის ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს.

რად გვინდა გენიოსი ვუნდერკინდი, თუ ის ვერც თანატოლს და ვერც საკუთარ თავს ერევა. რად გვინდა უდროოდ დაბერებული ახალგაზრდა, რომელსაც თავისი ფიზიკური სიძლიერე არ უგრძვნია, სიძლიერე მამაკაცისა, სიძლიერე ქალიშვილისა, რომელსაც არც ორმოზე გადახტომისა ეშინია, არც მდინარის გადაცურვისა და არც ხეზე ასვლისა. განა ოდითგანვე თავისი დროის უდიდესი გენიოსები ადამიანის ტანის სილამაზეს არ უმღეროდნენ?

მაშ ჩვენ რაღა მოგვივიდა, რატომ ვუკრძალავთ ბავშვს იმას, რაც მისთვის ყველაზე აუცილებელია, რაც მისთვის ბუნებას უბოძებია? განა თვით ისინი, დღეს სიჭაბუკეს და ახალგაზრდულ სილაღეს მოკლებულნი, ჩვენი საყვარელი, ჩაპუტკუნებული და ჩაზულუქებული შვილიკოები 16-20 წლის შემდეგ არ გვისაყვედურებენ, როდესაც მთელი სიგრძე სიგანით საკუთარ თავზე იგრძნობენ მათ ფიზიკურ აღზრდაში დაშვებულ შეცდომებს?

გვიფიქრია კი ამაზე?

ჩვენ არავითარ შემთხვევაში იმის მომხრენი არა ვართ, რომ აუცილებლად ყველა ჩემპიონი იყოს, მაგრამ განა აუცილებელზე აუცილებელი არ არის, რომ ყველა ჯანმრთელი იყოს, რომ ყველამ იცოდეს ცურვა, რომ ხიფათის შემთხვევაში (ამისგან კი არავინ არის დაზღვეული) მას თავის დაცვაც შეეძლოს და სხვისი გამოქომაგებაც, საჭიროების შემთხვევაში კი სამშობლოსათვის თავის განწირვაც, მაგრამ ყოველივე ამას ვერ გააკეთებს თუ ამ დედის ძუძუსთან ერთად არ ექნა შესისხლხორცებული მეგობრობის, ურთიერთდახმარების, კოლექტიურობის, თავგანწირვის გრძნობა. თუ მას არ ექნა თავისი ეზოს, უბნის, სკოლის, ერის და ბოლოს რაც ყველაზე ამაღლებული და წმინდაა — სამშობლოს სიყვარული.

ყოველივე ამას იძლევა სპორტი, სპორტი, რომელიც აჯანმრთელებს და ავაჟკაცებს ადამიანებს, ამეგობრებს და აახლოებს ხალხებს, ზრდის ინტერნაციონალისტებსა და სამშობლოს პატრიოტებს.

დიახ, ასეთია სპორტი.

თამარ ერისთავი

## საძირკველი ჩვენი კაცობის

სიტყვის სიმაღლე,
სიტყვის სიღრმე,
სიტყვის სიმართლე
თუ გაგაოცებს, —
წინაპართა
დუმილს მიმართე:
რაც სასწაული
კაცის სულში,
მიწით და მზით არს,
ვითარ იძიეს,
ვითარ ჰპოვეს,
აღმოსთქვეს ვითარ!
ღმერთს ვით წაჰგვარეს, —
ბრძოლით?
შრომით?
ლოცვით?
მუდარით? —
ამ ქვეყნად სულის
ხელთუქმნელი
ნავთსაყუდარი!
და ვით აღგვიგეს
სხვა ათასში
ულერით საცნობი
სიტყვით ქართულით
საძირკველი
ჩვენის კაცობის...
გამძლე ყოველი
ცვალებადი
დროის და ჟამის,
სხვა რამ ტაძარი
ვერსად ვპოვოთ
უმაღლეს ამის.

ეროვნული ბიბლიოთეკა




მერაბ აბრამიშვილი


პაატა ხოკერაშვილი


ზურაბ ცუცუნაშვილი


თეიმურაზ სვანიშვილი

# უღრუბლო ცა

— ჯარში რას აკეთებ, პაატა?

— შენ გიცავ, ჩემო პატარავ, ტკბილად რომ იძინო, დედამიწას ვდარაჯობთ — ფხიზელი თვალი რომ არ მოვაკლოთ, რათა მშვიდი იყოს ჩვენი ქვეყნის ზეცა.

— სად სდარაჯობ?

— ჩემი ქვეყნის ზეცის კიდესთან.

— მერედა, როგორ ცნობ?

—ჩვენი მამულის ზეცა მაღალია და მზენათელი, უღრუბლო, მშვიდი, უძირო.

— მეც მინდა ჯარში!..

— ჯერ უნდა გაიზარდო, ბევრი ისწავლო, დიდი, ძალიან დიდი სიყვარული ისწავლო, მერე კი — შემცვალო!

— ნეტავი ჩქარა გავიზარდო!

(უფროსი ძმისაგან აღებული ინტერვიუდან)

თქვენ შემოუნახეთ შვილებს მამული, დედის რძესთან ერთად შეატკბობინეთ მამულის სიყვარული. თქვენმა გაზდილებმა მოგვიპოვეს თავისუფლება და ბედნიერება ექვსი ათეული წლის წინათ, გაიმარჯვეს დიდ სამამულო ომში. დედათა გაზრდილები ჩვენი ქვეყნის ყოველ ნათელ დილას უდგანან დარაჯად. მათ რიცხვში არიან თქვენი ვაჟკაცებიც, თბილისელო დედებო:

ქეთევან აბრამიშვილო,
ლამარა ცუცუნაშვილო,
ლეილა სვანიშვილო,
მერი ხოკერაშვილო.

ერთი რამ ვკითხეთ ოთხივე ჯარისკაცის დედებს და.... აი მათი საერთო პასუხი:

— რას ამბობთ! ერთი სული ჰქონდათ, როდის წავიდოდნენ საბჭოთა არმიაში, ამაზე ოცნებობდნენ ბიჭები!

ქეთევან აბრამიშვილი (ჯარისკაც მერაბ აბრამიშვილის დედა): —იმ საღამოს შეუძლოდ გახლდით. ძილბურანში ჩამესმა: მერაბი ოთახში ხმაურით შემოიჭრა. დედიკო, გენაცვალე, ჯარში მივდივარ! — მომაძახა და საკოცნელად წამეტანა. თვითონვე გაიმზადა ჩანთა...

ქეთევანს მღელვარება ეძალება. ხელები უთრთის. მერაბს ხომ მანამდე უდედოდ ერთი ღამეც არ გაეთია.

დედა სურათს იღებს. სოკოებივით გაშლილა პარაშუტები. ეს არის ჩემი ვაჟკაციო, — საჩვენებელ თითს ადებს ერთ-ერთს.

სამხედრო სამსახური? — კითხულობს ოთხივე დედა და იქვე დასძენს: რასაკვირველია, აუცილებელია: ვაჟკაცდებიან, კაცდებიან, სრულფასოვან ადამიანებად ყალიბდებიან ბიჭები.

რა მიაჩნია დედას ბედნიერებად?

— ბედნიერი ვარ, — ამბობს ქეთევან აბრამიშვილი, — მერაბი ბავშვობიდანვე ოცნებობდა მფრინავობაზე. შორეულ აღმოსავლეთში სადესანტო ჯგუფში მოხვდა და ეს უხარია ჩემს შვილს. არჩეული გზა? ალბათ გააგრძელებს. მე დედა ვარ და ვუგუებ მის ყოველ ნაბიჯს (ვიცი, არ შეცდება), რადგან ასე სურს, ასე სწადია ჩემს შვილს.

მერაბს პირველივე საჩვენებელი ხატომი ჩინებულად შეუსრულებია. ქეთევანის პირმშოს ქება დაუმსახურებია. სამხედრო ნაწილიდან გამოგზავნილმა მადლობის ბარათმა სიხარულისა და მღელვარებისაგან აატირა ქეთევანი.

კითხვა: — ამ ბოლო ხანებში რა არის თქვენი ყველაზე ნანატრი და მოულოდნელი სიხარული?

მერი ხოკერაშვილი (ჯარისკაც პაატა ხოკერაშვილის დედა):

—შარშანდელი თერთმეტი ნოემბერი ლენინგრადიდან მოულოდნელად დაგვადგა თავს ჩემი პაატა. ახალწვეულთა ნაკადის გასაძღოლად პატივი დაედოთ ჩემი შვილისათვის.

კითხვა: — რამდენი შვილი უნდა ჰყავდეს დედას?

ლეილა სვანიშვილი: — ოთხი.

პასუხი სამი დედისა: — სამი მაინც აუცილებლად!

... სამი შვილი ჰყავს ქეთევან აბრამიშვილს. განათლებით პედაგოგმა სამსახურს შვილების აღზრდა არჩია. მერი ხოკერაშვილსა და ლამარა ცუცუნაშვილს ორ-ორი ვაჟიშვილი ჰყავთ, ლეილა სვანიშვილს კი — ქალ-ვაჟი. ნატვრა მესამე შვილის ყოლისა გულისტკივილად გამოჰყოლიათ.

... უმამოდ ზრდის შვილებს მერი ხოკერაშვილი. სამიოდე წლისა დარჩა უმცროსი ვაჟიშვილი, როცა მეუღლე გარდაეცვალა. თბილპურვაჭრობის 172-ე მაღაზიის საკონდიტრო სექციაში მუშაობს პაატასა და დათოს დედა. ადრე მიდის სამუშაოზე და გვიან ბრუნდება შინ. იცის დათომ, რომ დედას მომხმარე არავინა ჰყავს და, როგორც შეუძლია, ისე უმსუბუქებს მშობელს საფიქრალს. რაც პაატა გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, ხმის გამცემი არავინ დარჩა შინ უმცროს ძმას.

როგორ ტოვებს შინ მარტოდმარტო შვილს მთელი დღით?

მერი ხოკერაშვილი:—შვილებს ვენდობი. ვიცი — მრუდე აზრს თავში არ გაივლებენ. ცალმა უღელმა სიფხიზლე და მოვალეობა გამიათკეცა და...

— მერი ხოკერაშვილი? ზრდილი, თავაზიანი, პატიოსანი მშრომელი ქალია, საუკეთესოთა შორის საუკეთესო მუშაკია, — ახასიათებს საბჭოთა არმიელის დედას მაღაზიის გამგე მაყვალა თაგვიაშვილი.

კითხვა: — რა არის თქვენი უახლოესი ნატვრა და სურვილი?

ნატვრა და სურვილიო...

— ყველა დედას დაბედებოდეს უღრუბლო ზეცა.

— ყველა დედას ეხაროს შვილების ბედნიერებით.

ნათელა ქიმერიძე

# შეჩერდი, მგზავრო!

კისისხევში სოფლის განაპირას ქვითკირის სახლი დგას. სახლს ხეხილით ნაშენი ეზო აკრავს. ვრცელ, რიკულებიან ხის აივანზე ვაზი სვეტებს შემოხვევია.

ახალწლის ღამეა. სარკმელში შუქი კრთის. ბუხარში ცეცხლი მინავლდა და შეშა შეუკეთეს. ნაპერწკლებს ტკაცატკუცი გააქვს. მაგიდასთან სამი კაცი ზის. თმაშევერცხლილებს სახეზე წლების ნაკვალევი აღბეჭდიათ. სადღეგრძელო შესვეს, შესანდობარიც დინჯად წარმოთქვეს, ახალი წელი დალოცეს... მერამდენედ ხვდებიან ძმები აქ ახალწლის ღამეს, მერამდენედ ნატრობენ ამ ჩამქრალი კერის გაღვივებას, მათი მამაპაპის ნაფუძვარი ნასახლარად რომ იქცა! ნასახლარიო, — ვამბობთ, და მართლაც ნასახლარია გამოკეტილი კარითა და მოლოდინით!

აქ არც დიასახლისი ტრიალებს, არც მასპინძლის ომახიანი ხმა ისმის. კედელზე ოთხი ვაჟკაცის, ოთხი შინმოუსვლელი ძმის სურათი ჰკიდია.

საბა და კატო მეზვრიშვილებმა რვა შვილი გაზარდეს. რვა ვაჟი იყო ამ ოჯახის სიამაყე და დოვლათი — არჩილი, ვანო, შაქრო, ისაკი, დავითი, ილო, ალექსი და იოსები. სამამულო ომში ექვსი ძმა იბრძოდა. დედამ გზა დაულოცა ბუდიდან აფრენილ არწივებს.

პედაგოგიური სასწავლებლის ცივ საკლასო ოთახში მოსწავლეები მასწავლებელს უსმენდნენ. არ იყო შეშა, არ იყო ნავთი, ციოდათ, მაგრამ მშვიდად იტანდნენ ომის განსაცდელს. მასწავლებელი ალექსი მეზვრიშვილი ილიას „ქართვლის დედას" კითხულობდა. სამშობლო მიწის სიყვარულით ათბობდა ჭაბუკებსა და ქალიშვილებს. „ქართვლის დედაო! ძუძუ ქართვლისა, უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა, დედის ნანასთან ქვითინი მთისა მას უმზადებდა მომავალ გმირსა". — ისმოდა მასწავლებლის ხმა და მოსწავლეთა ბაგეები „მას უმზადებდა მომავალ გმირსაო" იმეორებდნენ, ისინი ილიას ლექსის უკვდავ სტრიქონებს იზეპირებდნენ და გული მამულის დასაცავად მიუწევდათ. დღეს დღე მისდევდა და მერხები თანდათან ცარიელდებოდა...

ახალგაზრდა მასწავლებელს ალექსი მეზვრიშვილს დანიშნული ჰყავდა და საქორწინო ტანსაცმელი მკერავთან დარჩა, ვერ მოასწრო ცოლის მოყვანა.

ომი დამთავრდა. საბა და კატო მეზვრიშვილები დღენიადაგ გზას გაჰყურებდნენ, შვილებს ელოდნენ, ომგადახდილებს, გამარჯვებულებს. გამოჩნდა ილო, გაიხარა მშობლების გულმა, ამაღლდა ჭერი; დაბრუნდა იოსები, კედლებმა სიმღერა დაიწყეს, და, შემდეგ ჩაჩუმდნენ. დედას თვალი ისევ გზისკენ ეჭირა, ეძახდა არჩილს, ვანოს, შაქროს, ალექსის! მშობლები ლოდინში დაილივნენ. ოთხმა ძმამ ოთხი ძმის მოლოდინში თავიანთი კერია მოაწყო, იქნებ ბიჭები დაბრუნდნენ და ოჯახი ძველებურად დაუხვდეთო. რახანია ცის ქუხილმა გადაიარა. ცხოვრების კალენდარმა მას შემდეგ სამ ათეულ წელზე მეტი მიითვალა. მეზვრიშვილების სახლი შინმოუსვლელ ძმებს ისევ მოელის. დავითს შირაქში მიჰყავს ცხვარი, იოსები კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადას ხელმძღვანელობს, ილო კოლმეურნეობაში შრომობს, ისაკი გარდაიცვალა.

ამას წინათ ძმებმა ჭერი შეაკეთეს, სიძველე შეეპარაო, და, დგას სახლი, როგორც რელიქვია, როგორც გარდასულ დროთა მკაცრი გამოძახილი. უქმად არის საწნახელი, იქვეა ხორბლის ჩასაყრელი, ძველი თონე; ღობის პირას — ცხენის ორთვალა. მიწაში ფესვები ღრმად გაუდგამს და ტოტები ძირს დაუხრია ბებერ თუთას.

გაზაფხულზე ატმის რტოები ისევ ვარდისფრად აიფაკლება, ნუში თეთრად გადაიპენტება, კარმიდამოში ვარდის სურნელი დატრიალდება, აივანზე მერცხალი მოფრინდება და ბუდეს გაიკეთებს, ჭიკჭიკით აახმიანებს გარემოს.

სოფელში ცხოვრება თავისი გზით მიდის.

შეჩერდი, მგზავრო! თვალი მოავლე მდუმარე სახლკარს. ეს სახლი ძმებმა მეზვრიშვილებმა შინმოუსვლელთა წმიდათაწმიდა ადგილად აქციეს. რა დიდი გული აქვს ამ დალოცვილ სოფელს!

ეთერ ჯაფარიძე



ვანო,
ალექსი,
არჩილი,
შაქრო
მეზვრიშვილები

„უკეთ ინერგება სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები. ორი წლის მანძილზე რესპუბლიკაში ათვისებულია 1200-ზე მეტი ახალი სახეობის ნაწარმი. სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა 370 დასახელების პროდუქციას. მარტო ერთი 1977 წლის მანძილზე თითქმის ერთიორად გაიზარდა ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წონა“.

(ამხ. ე. შევარდნაძის მოხსენებიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმზე)

**ქუთაისელმა ავტომშენებლებმა თავიანთი სიტყვა თქვეს წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების საქმეში.**



# ქართული ავტომობილი

1945 წლის გაზაფხულზე ქუთაისის სამხრეთ-დასავლეთით გადაჭიმულ რამდენიმე ჰექტარზე ავტოგიგანტის მშენებლობა დაიწყო. „ვაშენოთ სწრაფად, იაფად და მაღალხარისხოვნად!“ — ამ ლოზუნგით შენდებოდა ქარხანა.

1947-1948-1950 წლებში თანდათანობით დგებოდა მწყობრში საამქროები.

1951 წელს კონვეიერიდან პირველი ქართული ავტომობილი „კოლხიდა“ ჩამოვიდა.

ქუთაისური ავტომობილი დიდი მოწონებით სარგებლობს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში. „კოლხიდა“ დაჰქრის დემოკრატიული ქვეყნების მიწაზე.

„კოლხიდა“ გახლავთ ავტოგამწევი „კაზ 608“ და ნახევრადმისაბმელი „კაზ 717“. მისი ტვირთზიდვა 11,5 ტონაა, მაქსიმალური სიჩქარე — 70 კილომეტრი საათში.

ავტომშენებლები ავტომობილის ხარისხს ყოველთვის აუმჯობესებდნენ და ახალი მარკის უფრო სრულყოფილ ავტოგამწევებს უშვებდნენ.

სულ ბოლო პირმშომ „კაზ-608-ვ“-მ შარშან ზაფხულში ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიიღო.

ამ დიდ გამარჯვებასთან დაკავშირებით ბევრი რამ ითქვა ქუთაისელ ავტომშენებელთა შრომაზე, მათ განვლილ გზაზე, სიძნელეებზე და შეფერხებებზე, წარმატებებზე და სიხარულზე, მომავლის გეგმებზე.

უმჯობესია თვით ავტომშენებლებს მოვუსმინოთ.

**ე. ხარებავა. — ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორი:**

— მეათე ხუთწლედში მეცხრე ხუთწლედთან შედარებით ჩვენი ქარხნის სასაქონლო პროდუქციის წარმოება 26,6 პროცენტით გაიზრდება. მანქანებისა — 31,9 პროცენტით. (პროექტით გათვალისწინებული 25 პროცენტის ნაცვლად).

ქარხნის რეკონსტრუქციისათვის გამოყოფილია 130 მილიონი მანეთი. ამ თანხიდან 65 მილიონი მანეთი მხოლოდ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე დაიხარჯება. აქედან 35 მილიონი მანეთი ათვისებული იქნება მეათე ხუთწლედში.

1980 წლისათვის ქარხანა გამოუშვებს 163 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქციას, რაც 1975 წელს მიღწეულ დონეს 30,6 პროცენტით გადააჭარბებს. ამავე პერიოდისათვის ავტომობილების წარმოება გაიზრდება 36,9 პროცენტით, ნახევრადმისაბმელებისა — 55,3 პროცენტით, ფართო მოხმარების საგნებისა — 54 პროცენტით. მეათე ხუთწლედში ჩარხდანადგარების შეცვლაზე გამოყოფილია 24-26 მილიონი მანეთი.

**თ. გენძეხაძე — ქარხნის მთავარი ინჟინერი:**

— „კაზ —608-ვ“ ბევრად უფრო სრულყოფილი და საიმედო ავტოგამწევა, ვიდრე მისი არცთუ ისე შორეული წინამორბედნი. ახალი „კაზ 608-ვ“-ს კაბინა გამოირჩევა თავისი კომფორტაბელურობით, ჰერმეტულობით, მძღოლის საჯდომის მოწყობილობისა და ელექტროგაყვანილობის სრულყოფით. არსებითი ცვლილებები მოხდა აგრეთვე ავტოგამწის სავალ ნაწილზე, რამაც 50 ათასი კილომეტრით გაზარდა მისი გარბენისუნარიანობა კაპიტალურ რემონტამდე. მოწესრიგდა და მოდერნიზებულია ავტომობილის შუქტექნიკაც.

**ბ. სიხარულიძე — ქარხნის მთავარი ტექნოლოგი:**

— 1976 წელს ქარხნის კოლექტივის ძირითადი ამოცანა იყო ახალი, თანამედროვე მოდელის ავტოგამწის „კაზ-608-ვ“-ს წარმოების ათვისება. ქარხანამ ეს ამოცანა წარმატებით შეასრულა. 1976 წლის ოქტომბრის თვიდან ქარხნის მთავარი კონვეიერიდან სერიულად დაიწყო ჩამოსვლა სრულყოფილმა ავტოგამწევებმა „კაზ -608-ვ“-ს სახით.

ხუთწლედის მეორე წლის ძირითადი ამოცანა იყო ახალი ავტოგამწის ატესტაცია ხარისხის ნიშანზე. ეს ამოცანაც წარმატებით გადაწყდა. ამიერიდან ხარისხის სახელმწიფო ნიშნიანი პროდუქცია გამოშვებული პროდუქციის 70 პროცენტს გადააჭარბებს. გამოშვებული პროდუქციის სრულყოფა და ახალი ტექნიკის ათვისება ქარხანაში პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვისა და წარმოების ტექნოლოგიური მომზადების არსებული სისტემის საფუძველზე ხორციელდება.

**ნაირა ჯავახაძე — სიჩქარეთა კოლოფის საამქროს კონტროლიორი:**

— საქმე, რომელსაც მე ვემსახურები, ძალიან საინტერესოა და სრულიად არ არის ერთფეროვანი. შეიძლება ზოგიერთებმა იფიქრონ, რომ კონტროლიორს ერთი და იგივე დეტალი მოსდის შესამოწმებლად და ეს არის სულ მისი მუშაობა. მაგრამ ნურას უკაცრავად! მე საამქროს ხარისხის კომკავშირული საგუშაგოს თავმჯდომარე ვარ. საგუშაგოს წევრები — ნანული დარცმელიძე, მანანა შვანგირაძე, ლეილა ბობოხიძე სულ ახლის ძიებაში არიან, მანამ ვერ ისვენებენ, სანამ საამქროში წუნის მიზეზს იქვე არ აღმოფხვრიან. პირადად მე 25 დასახელების დეტალს ვამოწმებ და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩემი დაუდევრობით რაიმე შეფერხებულიყოს.

**ბ. ვაშაკიძე, სოციალისტური შრომის გმირი, მძღოლი-გამომცდელი:**

— „ხარისხის ხუთწლედს — მუშური გარანტია“ — ამ ინიციატივას ჩვენ, ქუთაისლები, დროულად გამოვეხმაურეთ.

ინიციატივა დაიწყო მოსკოვის ილიჩის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნიდან. ვიტყვი, რომ ადრეც საკმაოდ ბევრს ვმუშაობდით პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლების ამაღლებისათვის, მაგრამ ახლა, მეათე ხუთწლედში, ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედში ეს მოძრაობა გაცილებით მასობრივი გახდა.

**ნუნუ გეწაძე — მზურლავ ქალთა ბრიგადის ბრიგადირი.**

— ქარხნის წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვით ავტომატების კომუნისტური შრომის საამქროს მშრომელებს. მათ არც გასულ ხუთწლედში შეურცხვენიათ თა-



ვი, მუდამ მოწინავეთა რიგებში იდგნენ. საამქროში განსაკუთრებით კარგი ავტორიტეტით სარგებლობს მბურლავ ქალთა ბრიგადა, რომელიც ყოველთვის გამოირჩევა მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებით.

**რ. მინაძე — № 3 სამსხმელო საამქროს სხმულების გამწმენდი:**

— ჩვენ გამარჯვებებს დავეჩვიეთ. აგერ უკვე შვიდი წელიწადია ქარხანას არ ახსოვს წარუმატებლობის არცერთი შემთხვევა.

**უ. მიქაძე — მთავარი მეტალურგის მოადგილე:**

— „კაზ-608-ვ"-სათვის ხარისხის სახელმწიფო ნიშნის მიკუთვნებამ ქარხნის მეტალურგები აღგვაფრთოვანა.

მეათე ხუთწლედში ავტომშენებელ მეტალურგებს დიდი ამოცანების გადაწყვეტა მოგვიწევს. ამ ამოცანათა მასშტაბებზე შეიძლება ვიმსჯელოთ ციფრებით: თუ დღეისათვის მეტალურგიული წარმოების საამქროთა სიმძლავრე მთლიანად აღებული 73.800 ტონა სხმულსა და ნაჭედს შეადგენს, ხუთწლედის ბოლოსათვის იგი 101.000 ტონამდე გაიზრდება.

**ლ. გვეტაძე — მანქანების ამწყობი და გამოსაცდელი საამქროს უფროსი:**

ქუთაისის ავტოქარხანაში თავდაპირველად ყველა ერის შვილები შრომობდნენ. აქ იყვნენ რუსი, უკრაინელი, ბელორუსი ავტოსპეციალისტები, რომლებიც კეთილმეზობლურად გვეხმარებოდნენ.

დღეს ქარხანას საკუთარი კადრების მძლავრი არმია ჰყავს, რომელიც სულ უფრო და უფრო აუმჯობესებს სამამულო ავტომობილს.

ავტოგამწე „კაზ-608-ვ"-სათვის ხარისხის სახელმწიფო ნიშნის მინიჭება ორჯონიკიძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ქარხნის მთელი კოლექტივის ნაყოფიერი მუშაობის შედეგია.



# მადლობა

საქართველოს სსრ რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურმა პენსიონერმა, აჭარის კომკავშირული მოძრაობის ვეტერანთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ — იაკობ ყაჭეიშვილმა რედაქციაში წერილი გამოგზავნა. „გთხოვთ, როგორც ყოველთვის, ახლაც გამოიჩინოთ გულისხმიერება, და გამოაქვეყნოთ წერილი ამ დამსახურებული ექიმი ქალის შესახებ".

ეს დამსახურებული ადამიანი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, კურორტოლოგიის საკვლევი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ მუშაკი, დოცენტი ლუბა პავლეს ასული ჯიქია-კუპრაძე გახლავთ. ი. ყაჭეიშვილის წერილში მოთხრობილია, როგორ გადაარჩინა ექიმმა კურორტ ნაბეღლავზე მყოფი ადამიანი მოულოდნელი სიკვდილისაგან. შემდეგ ავტორი გვაცნობს ლ. ჯიქიას ცხოვრების გზას; მან ორმოც წელზე მეტი ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე ყოფნას შესწირა... ჩვენ ვინახულეთ ქალბატონი ლუბა. და მან გაგვაცნო თავისი საინტერესო ცხოვრება. ეს ცხოვრება ჩოხატაურის რაიონის სოფელ დაბლაციხეში, ღარიბი, წვრილშვილიანი გლეხის ოჯახიდან დაიწყო.

შემდეგ თებერვალი... საბჭოთა საქართველო... **1924** წელს გოგონა სკოლიდანვე შედის კომკავშირის რიგებში, აქტიურად ებმება რაიონის კომკავშირული ორგანიზაციის ცხოვრებაში. რამდენჯერმე კომკავშირის სამაზრო კონფერენციის დელეგატად აირჩიეს. ესწრებოდა საქართველოს კომკავშირის ყრილობას, იყო ოზურგეთის კომკავშირის სამაზრო კომიტეტის წევრი. მეგობრობდა, რჩევას ჰკითხავდა გამოცდილ ბოლშევიკებს — დიმიტრი დუდუჩავას, ოლღა ბილიხოძეს, ასალო ცინცაძეს, ნატაშა ჯიბუტს, პროკლე კეკელიძეს. ახალგაზრდა მხარში ედგა მათ კოლექტივიზაციის დამკვიდრების წლებში.

თავისუფლად შეიძლება ითქვას: ლ. ჯიქია კომკავშირული საგზურით მივიდა **1930** წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. **1939** წელი მისი ცხოვრების მნიშვ-



ნელოვანი თარიღია — ამ წელს იღებენ კომუნისტური პარტიის რიგებში. მანამდე, 1937 წელს ჩოხატაურის რაიონული საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგედ მუშაობდა. რაიონის უფროსი თერაპევტის მოვალეობასაც ასრულებდა.

და, უფრო ადრე, მაღალმთიანი სოფლების საექიმო უბანში მუშაობა... ამ სოფლებში დაიმსახურა სწორედ 23 წლის ექიმმა ქალმა კარგი მკურნალის, კარგი ადამიანის სახელი. აქ დაიმსახურა სიყვარული და პატივისცემა, რაც ყველაზე დიდი ჯილდო და საზღაურია ექიმისათვის...

ჩვენი ქვეყნის მრავალსა და მრავალ ექიმს გაუვლია ასეთი გზა. მოუმკია ასეთი სიყვარულიც და პატივისცემაც. ეს სრულიად ბუნებრივია. ბუნებრივია ისიც, რომ მათ კეთილ ადამიანებს უწოდებენ.

ერთ-ერთი კეთილი ადამიანი ქართველი ლუბა ჯიქიაც გახლავთ. ესეც ბუნებრივია.

მაგრამ დღეს, ჩვენი საბჭოთა არმიის დაბადების თვეში — თებერვალში ვწერთ მასზე, როგორც ამაგდარსა და კეთილ ადამიანზე. ამას თავისი გამართლება აქვს...

ლუბა ჯიქია-კუპრაძის ოჯახში 1944 წლისეული მეტად ძვირფასი დოკუმენტი ინახება. ამ დოკუმენტიდან ისმის გუგუნი ჩვენი მშობლიური არმიისა, ხმა მთავარსარდლისა, ამ დოკუმენტიდან თითქოს დგება ის მრისხანე წლები, და მტერზე შურის საძიებლად მიემართებიან ესკადრილიები, თვითმფრინავების ამ ესკადრილიათაგან ერთ მათგანს აწერია: „საქართველოს მედმუშაკი!“

დიახ, ჩოხატაურის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე ლუბა ჯიქია-კუპრაძე პირადად ხელმძღვანელობდა რაიონში თანხების შეგროვებას ესკადრილია „საქართველოს მედმუშაკის“ მშენებლობისთვის.

მთავარსარდლისადმი გაგზავნილ ცნობაში ჩოხატაურის რაიონის მედიკოსთა ხელმძღვანელი წერდა:

„აღფრთოვანებულნი ვართ სამამულო ომის ფრონტზე ჩვენი გმირული წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებით, — გვსურს დავეხმაროთ წითელ არმიას, რათა დაჩქარებით გავანადგუროთ ჰიტლერელი დამპყრობლები. ჩოხატაურის რაიონის სამედიცინო დარგის მუშაკებმა შევაგროვეთ და სახელმწიფო ბანკში შევიტანეთ თვითმფრინავთა ესკადრილიის „საქართველოს მედმუშაკის“ მშენებლობისათვის: ფულად 41.000 მანეთი, სახელმწიფო სესხთა ობლიგაციები — 23.740 მანეთი, გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციები 28.875 მანეთი, სულ — 93.615 მანეთი. ჩვენ, რაიონის სამედიცინო დარგის მუშაკები პირობას გაძლევთ, რომ ყოველთვის მზად ვიქნებით თქვენი დავალებების შესასრულებლად და ყველაფერს ვიღონებთ, რათა სწრაფად გავანადგუროთ საზიზღარი მტერი!.. სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!“

გადაიქუხა წლებმა. შრომით, შენებით, ახლის ძიებით, მოლოდინითა და გამართლებით სავსე წლებმა...

ექიმი ლუბა ჯიქია-კუპრაძე კვლავ და კვლავ ხელში იღებს ბარათს, რომელსაც მის ოჯახში თვალისჩინივით უფრთხილდებიან. აი, ისიც:

„ჩოხატაური.

რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგეს ამხ. კუპრაძეს.

გთხოვთ გადასცეთ ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა ჩოხატაურის რაიონის სამედიცინო მუშაკებს, რომლებმაც შეაგროვეს 41 ათასი მანეთი ფულად, 23.740 მანეთის სახელმწიფო სესხთა ობლიგაციები, 28.875 მანეთი გამოუყენებელ შვებულებათა კომპენსაციები თვითმფრინავთა ესკადრილია „საქართველოს მედმუშაკის“ მშენებლობისათვის.

ი. სტალინი“

... მედიკოსი ლუბა ჯიქია თაობებისათვის ინახავს ამ დოკუმენტს, როგორც გმირობის, თავდადების, სიქეთისა და მადლობის სიმბოლოს.

ნ. გიორგაძე

# მიღების დღე



ორშაბათი მიღების დღეა ქალაქის მერის მოადგილესთან.

იმჯერად ოცდაათი კაცი იცდიდა. უმეტესობა დუმდა, ზოგი ნერვიულად დააბიჯებდა.

იქ, შიგნით, ნათელ და სადად მორთულ ოთახში იჯდა თეთრთმიანი მანდილოსანი. პატარა ტანის ჭაღარა ქალმა მოკრძალებით გადმოაბიჯა ზღურბლს, შეწუხებული გამომეტყველებით, ხელების ჩქარი მოძრაობით ხელჩანთა გახსნა და განცხადება ამოიღო. ომის ვეტერანია, დაჭრილებს უვლიდა, ახლაც მუშაობს, არასოდეს არავინ შეუწუხებია. ოღონდ... ახლა... გაუთბობელ ბინაში ცხოვრობს, ძმაც ავად ჰყავს და იქნებ დაეხმარონ.

— აქამდე სად იყავი?—გაკვირვება ისმის ნინოს ხმაში — ჩვენ არც ისე ბლომად გვყავს ვეტერანი ქალები. უნდა გაგიფრთხილდეთ...

ქალი ბოდიშობს, დარცხვენილად იღიმება და მადლობას იხდის.

— ჯერ ნუ, ჯერ ხომ არაფერი გამიკეთებია!

ახლა სათვალიანი მოხუცი იწყებს ლაპარაკს. შვილიშვილისათვის საგზური უნდა, სუსტი ბავშვია და იქნებ რომელიმე აგარაკზე გაგზავნონ.

ნინო ყურმილს იღებს და ხუთი წუთის შემდეგ მოხუცი სახეგაბადრული მიაბიჯებს კარისკენ.

მერე მთხოვნელთა რიგი იზრდება. ზოგს წყალი ჩამოსდის ჭერიდან, ზოგს ლიფტი არა აქვს, ზოგან მთელი სახლია გასარემონტებელი. და დგება ათასი წვრილმანი, მაგრამ საშური საქმე; მიხედვა უნდა, უსათუოდ მიხედვა უნდა.

უცებ სახე უნათდება ნინოს. მთხოვნელს მადლობას უხდის. საზოგადო საქმეზე მოვიდა. ბავშვებს ეზო, სპორტული მოედანი სჭირდებათ, იქ კი თურმე გარაჟებს იშენებენ.

ოცდამეთერთმეტე მე ვარ. ახლა ბიოგრაფია უნდა ვკითხო. დაღლილია, მერიდება. არა, ფაქტების უბრალო ჩამოთვლა არ მიშველის — „ამა და ამ წელს დაიბადა, ამა და ამ წელს იყო იმ თანამდებობაზე“...

... თვრამეტი წლის წინათ ტრაგიკულად დაეღუპა მეუღლე. სამი შვილი დარჩა. ყოველ დილით მოიტირებდა ქმრის სურათის წინ და ისე მიდიოდა სამსახურში. იქ კი, შავით მოსილი ქალი, გულის მეცხრე კლიტულში მალავდა მწუხარებას და სხვისთვის ზრუნვაში ეფლობოდა. მაშინ თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის დირექტორი იყო, რამდენ საქმეს მოაბა თავი; საცხოვრებელი ბინები აუშენა მუშებს, ჩვილბავშვიან ქალებს სამუშაო დროს უმცირებდა (თვითონ მარტო ზრდიდა შვილებს და იცოდა ამ ტვირთის სიმძიმე).

მერე, გვიან ღამით, მეუღლის პორტრეტს მთელი დღის ანგარიშს აბარებდა; შვილების ამბავსაც მოუყვებოდა, მდუღარე ცრემლებს დააფრქვევდა და ნაგუბარ სევდას მოიოხებდა.

ეს მისმა მახლობლებმა, მეგობრებმა მიამბეს... თვრამეტი წელია შავი კაბა არ გაუხდია.

ახლაც ასეა, რომ შემოგხედავს, წუხილი შემოგანათებს თვალებიდან, ოღონდ — წამით. მერე ენერგიული ხმა, ცოცხალი ქესტიკულაცია ფარავს ყველაფერს. აქვს ამ ქალს რაღაც დაუდგრომელი, მჩქეფარე, საკეთილო ძალა.

ფოთში დაიბადა (უსაზღვროდ უყვარს ეს ქალაქი). უცნაური ხასიათი აქვსო — ამბობდნენ ოჯახში. მამა რომ ფულს მისცემდა, აგროვებდა, მერე კი დაჯდებოდა ველოსიპედზე შარვლიანი ქალა-ბიჭა (მაშინ ვის ეცვა შარვალი!) და გრიგოლეთში, სუფსასა და მალთაყვაში გადიოდა.

— წავიდა აქსენტის გოგო, — ამბობდნენ მეზობლები, — მიაკითხავს ახლა გაჭირვებულებს, დაურიგებს რაცა აქვს. გეეზარდე, ნანა, დედაშენს!

— რა ვუყო ამ გოგოს, — ჩიოდა დედამისი, — კაი დაგემართოს კაია, სხვებს რომ ეხმარება, ვის პურს მიუტანს, ვის წამალს... მოდგებიან და მიხდიან მადლობას. მარა, უბედურება ისაა, ყველგან ცხვირს ჰყოფს, ბიჭების ჩხუბშიც კი ერევა გასაშველებლად. არა, ბატონო, გოგოს გარდა ყველაფერია!

ეს თვისება სამუდამოდ გამოჰყვა ნინოს — სხვისი სატკივარი მუდამ საკუთარივით სტკიოდა. ეს ეხმარებოდა მოვალეობათა აღსრულებაში.

და მაინც, ვერ ავცდით თანამდებობათა (ტიტულთა) ჩამოთვლას. მარტო ამჟამად, გარდა იმისა, რომ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეა და ქალაქის განათლებას, მედიცინას, პროფტექნიკურ სწავლებას, სოცუზრუნველყოფას, კინოფიკაციას, შრომითი რეზერვების განყოფილებას განაგებს — ამავე დროს არის პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრი, საქალაქო საბჭოს დეპუტატი, რესპუბლიკური პროფსაბჭოს წევრი, არასრულწლოვანთა კომისიის თავმჯდომარე, თბილისის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე.

ამჯერად, როგორც მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გლდანისა და თემქის პოლიკლინიკების მშენებლობას უწევს შეფობას და მშენებლობა ვადაზე ადრე ჩააბარეს. ყოველ ოთხშაბათს ობიექტებზეა. უკავშირდება მიმწოდებლებს, რომ მშენებლობა არ შეფერხდეს. ყურადღება სჭირდება აგრეთვე გინეკოლოგიური, უროლოგიური ფსიქიატრიული და ბავშვთა საავადმყოფოების და ორი საშუალო სკოლის მშენებლობას.

თბილისის ქალთა საბჭოში ნინოს თაოსნობით ბევრი საჭირო საქმეა წამოწყებული: აღრიცხვაზე ჰყავთ პენსიონერი და დავრდომილი მარტოხელა ქალები და მათზე პოლიკლინიკებია მიმაგრებული, სწავლობენ ქალთა შრომის საკითხებს (მარტოხელა დედებს სამუშაო დრო უნდა შეუმცირდეს), იბრძვიან, რომ დაწესდეს ფასიანი დეკრეტული შვებულება. ქალთა საბჭოს ინიციატივით სამამულო ომის მონაწილე ქალებს ურიგოდ მიეცემათ ბინები, შენდება ხანდაზმულთა სახლი (საჭირო და საშური საქმეა!).

ჩვენი საუბარი კვლავ ადრეულ წლებს გადასწვდა. ბევრჯერ იყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრი. იყო სკკპ XXII ყრილობის დელეგატი, საკავშირო პროფსაბჭოს XV ყრილობის დელეგატი, საკავშირო კომკავშირის XI ყრილობის დელეგატი.

ქრონოლოგიას აღმა შევყევით და ნინომ დიდი სიყვარულით გაიხსენა ის წლები, როცა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყო, მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერული მუშაობის დარგში. მაშინ ომი მძვინვარებდა. ზურგში უამრავი საზრუნავი იყო. ჩამოდიოდნენ ევაკუირებული ბავშვები [illegible] ვა, დაბინავება სჭირდებოდა [illegible] რილებს, ფრონტზე გზავნიდნენ ამანათებს, აგროვებდნენ სამკურნალო მცენარეებს, შეფობდნენ კოლხიდმშენს. მაშინ ნინო ქვანია ლენინის ორდენით დააჯილდოვეს.

— რა ცეცხლი გვქონდა, რა მგზნებარება... დაღლა არ ვიცოდით რა იყო. რწმენა გვასულდგმულებდა. — ეჰ, ახლაც, იმ წლებს რომ გავიხსენებ, კომკავშირელი მგონია თავი. კომკავშირი ახალგაზრდობაა, ენთუზიაზმია, ვაჟკაცური შემართებაა, — წამით ყუჩდება ნინო და მერე, ამ ერთგვარ ლირიკულ გადახვევას, იუმორი ენაცვლება:

— არა, თანამდებობა არასოდეს გამომიყენებია. ოღონდ, ერთხელ (მაშინ საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი ვიყავი) შუაღამისას კარზე შალითამოსხმული, თვალცრემლიანი ქალი მომადგა. ბავშვი ეჭირა ხელთ. ქმარმა გამომაგდოო. დაწვრილებით გამოვკითხე ყველაფერი. ქმარი პარტიული აღმოჩნდა. იმ წამსვე ავდექი, წავყევი სახლში. კაცს ვუთხარი, ან შენს ცოლ-შვილს უპატრონე, ან ქალაქიდან გადასახლდი-მეთქი. შეშინდა, ბოდიში მოიხადა...

რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ. შარშან კარზე მომადგნენ შვილიშვილებით. რა ვიცი, რა სასწაული მოხდა, მერე აღარ გვიჩხუბიაო.

ნინო ქვანიას მთელი ცხოვრება მოქმედება და აქტიურობაა. ვუგდებ ყურს მის საუბარს, ხანდახან მკვახე სიტყვა-პასუხსაც და ოთარაანთ ქვრივი მახსენდება: „რას მიქვიან ტკბილი სიტყვა“. მართლაცდა, სიტყვამ საქმისა უნდა თქვას...

... ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ხვალ ფეხბურთია. ინგლისელებთან თამაშობს ჩვენი გუნდი და მეგობარი ნინოს ბილეთებზე უთანხმდება. სიტყვამ მოიტანა და ნინომ გაიხსენა:

1945 წლის 13 ნოემბერს მსოფლიო ახალგაზრდობის ფედერაციის I კონგრესზე დელეგატად ვარ ლონდონში. უემბლის სტადიონზე მოსკოვის დინამოსა და [illegible]ლსის კლუბის გუნდები თამაშობენ. ეს ორი სამყაროს ბრძოლაა. ყოველ ბურთს, ჩვენები რომ გაიტანენ, ოვაციითა და წითელი დროშების აფრიალებით ხვდებიან ინგლისელი მუშები. ამით გამოთქვამდნენ თავიანთ სოლიდარობას. ნამდვილად, სპორტი პოლიტიკაც არის— ფიქრიანად დაასკვნის იგი.

ნინო ქვანიას 60 წელი შეუსრულდა. მის საქმეებზე დიდი ჯილდოები ღაღადებენ: ლენინის ორდენი, შრომის წითელი დროშის ორდენი, წითელი ვარსკვლავის ორდენი, ორი „საპატიო ნიშნის“ ორდენი, მედლები, სიგელები, საპატიო წოდებები.

წინ კი დიდი სავალი გზაა, რომელზეც მას ის სიტყვები წაუძღვება, განვლილ წელთა შესახებ რომ თქვა:

— ბევრი რამ გადავიტანე — ავადმყოფობა, მახლობელი ადამიანების სიკვდილი, სხვა ტკივილებიც... მაგრამ ძალას მმატებდა პარტია, გვერდში მედგნენ მეგობრები, ადამიანები, მთელი ჩემი ქვეყანა... და მეც, რაც შემეძლო, თავს არ ვზოგავდი არასდროს.

თინა მელიქაძე

სოფელი უკანამხარე



ციალა ჩიტიშვილი



# ცხრაზმულის ხეობაში

„... ერთვის ჰსანს აღმოსავლიდან ცხრაზმის ჰევი, გამოსდის ლომისას, და არს ადგილი ესე მოსავლიანი, მთის ალაგთაებრი“.

ვახუშტი მცირე ქალაქად იხსენიებს ახალგორს (დღევანდელი ლენინგორი). ქსნის ერისთავთა სარეზიდენციო ალაგს. დღესაც დგას აქ სასახლე, რომლის ფართო აივანი ქსნის სანახებს გადაჰყურებს.

მორღვეულ ქონგურებს ჟამთა სიავის კვალი ატყვია. ჩამონგრეული კედლები ზვიად ფეოდალთა ზრახვებს მალავენ.

ლენინგორის რაიონის სოფელი უკანამხარე ცენტრიდან მოშორებულია. „ვილისს“ ველოდებით. დროით ვსარგებლობთ და ჩვენს მეგზურს, ახალგაზრდა ისტორიკოსს ალეკო პავლიაშვილს ვუსმენთ.

ზამთრის მზეზე ვიწრო ჩრდილებად დაფენილა გაშეშებული ალვის ხეები. მათ მიღმა კი უძველეს ჭადართა ნამუსრევებილა ჩანს; ეს ხეები შანშეს დაურგავს, — გვიამბობს ალეკო, — რადგან არ სურდა მის მემკვიდრეს დაენახა ის მიწა-წყალი, რომელიც მას ამილახვარმა წარსტაცა.

ციხე-დარბაზი XVII-XIX საუკუნეების კომპლექსია. ანანურივით მტერთაგან აუღებელი იყო. სქელ კედლებს ლოდსატყორცნებითაც ვერას აკლებდნენო. ამ საიმედო საყრდენიდან ქართლის მეფეებს მრავალჯერ უოტებიათ მტერნი. ურჩ ფეოდალთა ბუდეც ყოფილა.

— არავინ იცის, ლეგენდაა თუ მართალი, — ჰყვება ალეკო, — ერთ ერისთავს სასახლე იტალიელი მხატვრისათვის მოუხატვინებია, უხვად დაუსაჩუქრებია, გაუსტუმრებია, გზად კი მკვლელი ჩაუსაფრებია, სხვას არავის მოურთოს სასახლე ამგვარადო.

ბრმა და ავია პატივმოყვარე გული.

* * *

უკანამხრის გზას რომ შევუდექით, უკვე ვიცოდით ზოგი რამ ამ სოფლის შესახებ. პარტიის რაიკომის მდივანმა ნუგზარ ოდიშვილმა გვითხრა, საკავშირო გარდამავალი დროშის მფლობელები არიანო. მოწინავე მშრომელები დაგვისახელა. ძირითადი დარგი მესაქონლეობაა: რვა თვეს კაცები ცხვარში არიან, ყიზლარის საძოვრებზე. ქალები მათაც ეხმარებიან და ოჯახსაც უძღვებიან.

მიუვალი სოფელია. შარშან დაიწყეს გზის გაყვანა რაიონის სახსრებით. ზამთარმა შეაფერხა, თორემ უკვე ცენტრს აკითხავდა ავტობუსი.

ტელეხედვასაც მოკლებულნი არიან. ახლა მოსკოვიდან გამოჰყავთ დიდი სატელევიზიო არხი, რომელიც ირანში გადავა. მაშინ ამ სოფელსაც ეშველებაო, — თქვა ნუგზარ ოდიშვილმა.



ნესტან ხრიკული



გიული ბენიძე



ანა ოღაძე

* * *

ამბობენ, ასჯერ გაგონილს ერთხელ დანახული სჯობსო.

ზამთრის პეიზაჟი თავის სილუეტებს ხატავს მთის ფერდობებზე და ღარტაფებში. ვიწრო, დაკლაკნილ, მოსიპულ გზაზე „ვილისიც" სხლტება. ყოველ მოსახვევში ცოცხალი ისტორიაა ჩასაფრებული. ალეკო ზეპირად ფურცლავს „ქართლის ცხოვრებას".

წირქვლის ციხე, იკორთა. „როსტომ აღაშენა ქალაქი ლარგვისი და შეამკო ეკლესია". „კოშკნი წარიგებულნი, მრავალნი, მაღალნი და კეთილნაშენი",

არის გაოცება, შიში, წყენა, ტკივილი.

შემოგეფეთებათ ამ ხეობაში მხარმკლავიანი აჩრდილები: 27 წელი ებრძოდა ყიზილბაშებს შანშე ერისთავი, ცხენზე ჭამდა, ცხენზე ეძინა თურმე.

აქ არიან „ნათელ გვირგვინით შემკულნი" — შალვა და ელიზბარ ერისთავები, ბიძინა ჩოლოყაშვილი... მთელემარენი იკორთის სავანეში.

აქ არის თვალებდათხრილი გივი ამილახვარი. აქ უბრძოლიათ მეფე ვახტანგს, გიორგი ბრწყინვალეს, როსტომს...

ისტორია გაოგნებს, თავისკენ გითრევს და თანაც გავალდებულებს, გაფრთხილებს...

... გზაზე გოგონა მოაბიჯებს. ალეკო მანქანას გვაჩერებინებს და გვაცნობს: „ეს ნესტან ხრიკულია. იკორთის მეცხოველეობის ფერმაში მუშაობს. 19 ძროხას უვლის".

ნესტანი შექებისას წითლდება და მხრებს იჩეჩავს — რა არის აქ საკვირველი!

* * *

ცხრაძმულას ხევი ჩათავდა. აღმართს ავუყევით და ფერდობზე შეფენილი უკანამხარეც გამოჩნდა.

86-კომლიან სოფელში 12 გვარი ცხოვრობს:ბალხამიშვილები, ჩიტიშვილები, ოღაძეები, მაჭარაშვილები, მანჯიკაშვილები, მარტიაშვილები, შიუკაშვილები, ხინჩაგოვები, ბიტაროვები, ბაშარულები...

ამ სოფლიდან იყო ცნობილი რევოლუციონერი ქალი ბაბალე ბაშარული.

1943 წელს, როცა ქვეყანას უჭირდა, უკანამხრის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გიორგი ბაშარულმა დანაზოგებით თვითმფრინავი შესძინა სამშობლოს.

ეს სოფლის ისტორიაა.

დღევანდელ დღეზე 1977 წელს ვალაპარაკებთ:

გეგმით 15600 სული ცხვარი უნდა ჰყოლოდათ, 16330 დაუდით.

100 დედაცხვრიდან ნამატი 96 ბატკანია.

ერთი ცხვრიდან 2,3 კილოგრამი მატყლი უნდა მიეღოთ — 2,440 კილოგრამი მიიღეს. სახელმწიფოსათვის 405 ცენტნერი მატყლი უნდა მიეყიდათ, 476 ცენტნერი მიჰყიდეს. 914 ცენტნერის ნაცვლად 1420 ცენტნერი ხორცი ჩააბარეს.

524 ცენტნერი რძის ნაცვლად სახელმწიფოს 1367 ცენტნერი მიჰყიდეს.

თივა 21 000 ცენტნერი უნდა დაემზადებინათ, 22 300 ცენტნერი დაამზადეს. კოლმეურნეობას 1967 წლიდან „საქართველო" ჰქვია, და ცხადია, ეს ბევრს ავალდებულებს ამ სოფლის მშრომელებს.

* * *

კანტორაში, გაღუღუნებულ ღუმელთან მოვიყარეთ თავი.

კატო ჩიგოევა შემოუძღვა ანა ოღაძეს, ციალა და ქეთინო ჩიტიშვილებსა და რიტა ბიტაროვას.

კატო რაიონში ცნობილი მწველავია. იგი შრომის წითელი დროშისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენებით არის დაჯილდოებული. ოთხი შვილი ჰყავს.

ანა ოღაძემ ლარგვისში დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და წელიწადნახევარია, რაც ფერმაში მუშაობს, თორმეტ ძროხას უვლის.

ციალა, ქეთინო, დალი, მარინე [illegible]ლეები არიან და თანაც მუშაობენ. ისინი გვიყვებიან ლილი ბაშარულის ამბავს. ეს გოგონა თურმე სამ წელს ყიზლარში დადიოდა, ვაჟკაცივით ედგა მხარში მწყემსებს. ახლა თბილისშია, რაიონმა ლიმიტით გამოგზავნა პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

მერე გამთბარ ოთახში კაცებიც შემოვიდნენ და შინაურულად ავლაპარაკდით. დროულებმა ძველიც გაიხსენეს:

„ბანიანი სახლები გვქონდა, საქონელთან ერთად გვეძინა".

„ღვარძლიანი მარცვალი მოდიოდა. იმასა ვფქვავდით წისქვილებში, ათრობდა კაცსა".

„საქონლის ტყავის ქალამნებით დავდიოდით, შალებს თვითონ ვიქსოვდით სახლებში".

მერე სადღეისო ტკივილებიც იჩენს თავს:

სოფელში რვაწლიანი სკოლაა. უბნები 3-4 კილომეტრით არის ერთმანეთს დაშორებული. ზამთარში განსაკუთრებით უჭირთ პატარებს სიარული. სხვა სიძნელეც იქმნება; არსენ თეზელაშვილი გვეუბნება: „გოგო კასპში გავგზავნე სასწავლებლად, ლენინგორში მხოლოდ რვაწლიანი ინტერნატია, ლარგვისში კი ვერ ივლიდა, 14 კილომეტრია იქამდე. ბიჭი ფოთში წავიდა, ისწავლა და იქ დაოჯახდა. ძმაც მასთან არის. შინ მხოლოდ უმცროსი დარჩა. რაღა დააბრუნებს ჩემს შვილებს უკან..."

სოფელს კლუბი აქვს, კინო-ფილმები კი ორჯერ ამოაქვთ კვირაში.

არც ექიმი ჰყავთ, არც ექთანი.

არ აქვთ აბანო, საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა ობიექტები.

„ფშანი დაგვიშრა ჩიტიანთ უბანში, შორიდან ვეზიდებით წყალს", — ამბობენ გლეხები.

სოფელს მუშახელი აკლია, მწყემსებს ქირაობენ.

* * *

სოფლიდან ცოტა მოშორებით უკანუბნის ციხეა, ძველი წელთაღრიცხვით ათარიღებენ. იქ ლოდი დევს. ლოდზე წარწერა გადაშლილა. ძლივს ამოიკითხება: „ცხრა ძმამ დავდეთო და ცხრა ძმელებმა გაძმაიღეთო". თითქოს სიმბოლოა. თითქოს წარსული ეჭიდება აწმყოს.

„გაძმავიღეთ, კაცო, აბა რა!" — ჩაცინებით ამბობს დროული გლეხი. ელექტრომუქი ინთება ორსართულიან სახლებში. კანტორა ცარიელდება. ვემშვიდობებით და ისევ იმ ვიწრო გზას მოვყვებით.

ალეკო მანქანას გვაჩერებინებს და ბილიკზე ჩამავალ ქალიშვილს ეძახის:—გიული, მოიცალე ერთ წუთს ჩვენთვის!

ალანძული გიული ბერიანიძე იღიმება. 19 წლისაა და უკვე სასოფლო საბჭოს დეპუტატია, ცნობილი მწველავია.

გზად მშრომლის მარჯვენაზე ვლაპარაკობთ, ვითარცა მძლეთამძლეზე, ვითარცა ყოვლის შემოქმედზე.

ზამთრის გაცრეცილი ცარგვალი ემხობა მთელემარე ცხრაძმულას.

თინა ჩხაიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიორგი გელაშვილი

მხატვარი ლია სვანიძე

# უბრალოდ მიზეზი?

ქალიშვილი ოცდაოთხი წლისა იქნებოდა, ვაჟი ცოტა მეტისა. დიდი სილამაზით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ ორივეს ხასიათის უბრალოება და გულახდილობა ამშვენებდა და ერთმანეთის შესაფერებად თვლიდნენ. კარგა ხანიც არის მეგობრობდნენ და, ყველას რომ ეგონა, სადაცაა ქორწილში დაგვპატიჟებენო, ისინი მოულოდნელად განთვითეულდნენ.

ერთად მსახურობდნენ, ერთ ოთახში უსხდნენ საწერ მაგიდებს. მათთან იყო მესამეც, მათივე ხნის ყმაწვილი კაცი, მომხიბლავი გარეგნობისა და ხასიათისა. იგი მათი გულითადობის პირველი მოწმე იყო. სიხარულით მოელოდა მათ შეუღლებას და ყველაზე მეტადაც მან განიცადა ქალ-ვაჟის გათიშვა.

—ძუნწი ყოფილა, ქვაწვია,—გულდაწყვეტით აუხსნა მას ქალიშვილმა, როცა მისი ყოფილი საქმრო გარეთ იყო გასული. და ეს, თურმე, საშინელი მანკია. მე ფუფუნებაში არ მიცხოვრია, მაგრამ სტუმარმა თუ მეზობელმა ანდა სხვა ნაცნობმა სიძუნწე კი არა, ზედმეტი ყაირათიანობა რომ შემამჩნიოს, თავი სადღა გამომეყოფა! ის კი... ძალიან ხელმოჭერილი ყოფილა. ხშირად რამდენიმე ამხანაგი კინოში თუ თეატრში ერთად მოვხვედრილვართ, მას კი ხან ნაყინი, ხან ტკბილეული მარტო ჩემთვის უყიდნია და ჩვენთან მყოფი მეგობარი ქალიშვილები ამით უხერხულ მდგომარეობაში ჩაუყენებია. მე ხომ სირცხვილით დავმწვარვარ! მოვალე ვიყავი მეთქვა ამის გამო ერთი-ორი ფრთხილი სიტყვა და ვუთხარი კიდეც. ძალიან ფრთხილად ვუთხარი, რომ ცუდად არ გაეგო. მან კი უდარდელად ჩაიცინა და, ცხოვრების სიბრძნე არ იციო, ჭკუის სწავლება დამიწყო. კიდევ რამდენჯერმე გვქონდა ლაპარაკი ამის თაობაზე, მაგრამ მან ჩემი არ ისმინა. მერე კი... თუ შევუღლდებოდით, ოჯახურ ყოველდღიურობაში კიდევ უფრო სასირცხოდ გამოჩნდებოდა მისი ეს თვისება. ამიტომ, მე მგონი, დროზე დავშორდით. ისე კი, შენც ხედავ, არ დავმდურებივართ ერთმანეთს. როცა საქმე მოითხოვს, ვლაპარაკობთ.

გაწბილებულ ქალიშვილს ამაზე მეტი სიტყვა აღარასდროს დაუძრავს.

ისევ ერთ ოთახში ისხდნენ სამივენი, მაგრამ აღარ იყო იქ ის მეგობრული სითბო, რასაც თვალის პირველ შემოტარებაზევე ინიშნებდა ხოლმე მათთან შესული უცხო პირიც კი. ორ ადამიანს შორის რომ მძიმე ჩრდილი გაწვა, ამან მესამეს უფრო გაუძნელა მდგომარეობა. რომელიმე მათგანთან მისი ოდნავ მეტი ენაგახსნილობა, მეორის ერთგვარი წყენინება გამოვიდოდა, და ისიც დამუნჯდა.

ამ ვითარებაში, თითოეულს ცალკე პირველად მოუვიდა აზრი, რომ დაწესებულებაში იყო საშუალება პირადად ის სხვა ოთახში დაესვათ.

# ზემო-უბნე-ლები

ქარელის რაიონი. სოფელი აბისი. ზემოუბანი. აქ გმირები ცხოვრობენ, უხმაურო, უპრეტენზიო გმირები: საკოლმეურნეო ცხოვრების ვეტერანები, პირველი წრეები პირველი არტელისა, კოლექტივიზაციის რომანტიკოსები, საბჭოთა საქართველოს გული — გულთაგანნი.

მათზე წიგნები შეიძლება დაიწეროს.

ამ წიგნებიდან დღევანდელობა კიდევ ერთხელ გადახედავს ქარტეხილებს, სიძნელეებს. გაიხსენებს მართლაც ოფლით მოწეულ ჭირნახულს:

არ იყო ტრაქტორი.

არ იყო კომბაინი.

არ იყო მინერალური სასუქები.

არ იყო ტაშისკარის არხი, დღეს რომ ასე უხვად არწყულებს.

არ იყო გამოცდილებაც, დღეს რომ ასე ეწევა ანგარიში...

მაგრამ, იყვნენ ადამიანები, თავგამოდებული რომანტიკოსები. მათ შორის ქალები. სოფელ აბისის ზემოუბანში ზოგიერთ მათგანს დღესაც კარგად იცნობენ, ხვდებიან, ესალმებიან, ეკითხებიან...

აი ორი მათგანი, ორივე 80 წლისა: ნინო ბიძოშვილი და თამარ ღონღაძე. უფრო

უმცროსნიც — ნინო ვართაშაშვილი, ნინო ნიორაძე, სონა ღონღაძე.

ორსართულიანი სახლის ღია ვერანდიდან ფრთხილად ჩამოდის ნინო ბიქოშვილი: ჰაი, ჩემო ჯანო და ღონევ, სადა ხარ? — როგორ ვმუშაობდით? — ვაბულულებდით. ძნას ვდგამდით. კალოს ვუქცევდით. კევრზე ვიჯექით. ვფორცხავდით. ვანიავებდით. ვცხრილავდით. სიმინდს ორჯერ ვთოხნიდით, ჭარხალს შვიდჯერ. ვრწყავდით. ვილებდით. თავებს ვაჭრიდით. ვენახშიც გავდიოდით. სულ ჩვენ ვიყავით ქალები, მაშა! ვაზს ვსხლავდით, ვბარავდით, ვთოხნიდით, შევყელავდით (შევახვევდით). მერე კიდევ ვბარავდით. გოგირდს ვასხურებდით, კვირტს რომ გამოიტანდა, მაშინა. მერე შაბიამანსაც ჰო, არც ტრაქტორი იყო, არც კომბაინი... რაო? სასუქიო? სასუქი კი არა?! ჰო, ჭარხალს ერთნაირი მატლი ჰყავდა. დღეში ორი ათასამდე, იმას ვაცლიდი. ორასზე — ერთი შრომადღე გვეწერებოდა.

მე მახსოვს რა დაღლილი ბრუნდებოდა იგი შინ. ხელს წაიკაპიწებდა, ფქვილს გამტკიცავდა და სახელდახელო ხმიადებს აცხობდა ვარვარა კეცებზე... ჩვენც, სხვათა შვილებსაც მოგვიტეხავდა ხოლმე. რა გემრიელი იყო!...

— ეჰ, გული მაქვს, ჯანი კი აღარ მომდგამს. — სინანულით იქნევს თავს...

— კოლექტივიზაცია? პირველად არტელი ერქვა, გენაცვალე. პირველი თავმჯდომარეც კოტე კილასონია იყო. კილასონიაანთ თალიკო, მარგალიტა, მარუსა, გონგლაური და ოდიკაურიც ჩვენთან იყვნენ. ღმერთმა გაანათლოთ. შრომობდნენ ძალიან. პირველი ტრაქტორი რომ შემოვიდა, გავიხარეთ, ახლა კი შეღავათი მოგვეცაო. გვიხაროდა და გვიკვირდა... მერე ჩემი და თამარას სურათები გაზეთში ვნახეთ. კანტორაშიც იყო ჩვენი სურათები. სტახანოველიც გავხდი. აქედან ვეჯიბრებოდი უკრაინელ ქალსა — მარია დემჩენკოს. საბჭოს დეპუტატიც ვიყავი. მერე, ომი რო დაიწყო...

— დაიწვას ომის სახსენებელი... — აგრძელებს თამარ ღონღაძე. — ომი ღმერთმა ნუღარ მოგვასწროს. ისევ მშვიდობა იყოს. ვიმუშავებ, შვილო, როგორც აქამდისა ვმუშაობ.

მართლაც, ეს 80 წლის ქალი დღესაც მუშაობს კოლმეურნეობაში.

— ისე ვერა ვძლებ, თორემ სამი შვილის, შვილიშვილებისა და შვილთაშვილიშვილების პატრონს განა რამე გასაჭირი მადგას. მეორე ბრიგადაში ვარ, შარშან ქალებმა ბრიგადირადაც კი დამასახელეს. რას ვაკეთებდი? ვრწყავდი კიდევაც კომბოსტოსა და პამიდორს. ვაშლის კრეფაზე ვშველოდი, ჭარხალშიც... რაო, ვეტერანი ვარ? ესე იგი ძველი, არა? ეგრეა აბა! ლაშა, აკვანა ღელე, ვანის ტყე, ტალახაურები, გუგულქედი... ასე გასინჯე, დედოფლის მინდორზეც გავსულვარ სხვა კოლექტივის ჭარხალში, საშველად. ღამე წავიდოდით სიმინდის საჭრელად, კაცებს ვშველოდით. მერე დარჩევა სიმინდისა... გუგულქედზე წყალი არ იყო. ახლა ტაშისკარის არხი გადმოთქრიალებს. იხაროს მაგის გამყვანის მარჯვენამ... ჭარხალზე რომ წავვითოვდა, საბძლებში ჩამოგვქონდა სარჩევად. ერთხელა, ჩემი კაცი ჩალაზე ცეცხლს გვინთებდა, გავითბობდით წაყინულ ხელებს და ისე ვარჩევდით... მერე შემოვიდა სასუქიც და ტრაქტორიც.

— გიხაროდათ?

— გვიხაროდა რას მიქვია! ტრაქტორიცა და ტრაქტორისტებიც სასწაული გვეგონა. ჩვენც კარგ პატივსა ვცემდით. საუზმე, სადილი და სამხარი გამოულევლად ჰქონდა კოლექტივს მინდვრებში. აგერ, იმათი პურისმცხობელი და სადილ-სამხრის გამმზადებელი ნინა ნიორაძე. ჰკითხე იმასა?

კითხვა რად მინდა, ნინა კარის მეზობელია და მართლაც, წლების მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა მექანიზატორებს, ბევრჯერ ჩვენც, ბალღები წავშველებივართ, მინდვრად აგვიტანია მისი დამზადებული კერძი.

— ჰოდა, ის ოხერი ომი რომ არა... წუწუნებს თვალცრემლიანი თამარი.

— ის ომი რომ არა...

და ქალები წამით ვყუჩდებით. ვყუჩდებით დედის ცრემლის წინაშე. ის ომი რომ არა, თამარ ღონღაძის პირმშო გიო ღონღაძე ახლა ვაჟკაცურად იტრიალებდა თავის ოჯახში, თავის უნახავ ვაჟკაცსა და შვილიშვილებში. მხოლოდ წერილით აცნობა დედამ, ბიჭი გაგიჩნდაო... დღეს ის ბიჭი ბრიგადირია. მერაბმა ასაკით კარგახანია გაუსწრო მამას. სოფლის კლუბის კედლიდან კი კვლავ ღიმილით იცქირება მთლად ახალგაზრდა ჯარისკაცი, ხელში ავტომატმომარჯვებული... „დედა, გავიმარჯვებთ!“ — წერდა იგი. ახლა აკვანში თამარის შვილისშვილისშვილი პატარა, ერთი თვის გიო ღუღუნებს, გელა, გია და პატარა გოგოც იქვე ტრიალებენ, ეზოში.

— დე, მარად უღრუბლო იყოს ცა ჩვენი პატარებისა! — ასე იწყება სადღეგრძელო აბისელთა ოჯახებში. ზემოუბანს მეორე ჯარისკაციც არ დაბრუნებია — როსტომ ნადირაძე.

**როსტომ ნადირაძის ძმისწულის, ნათელა თედოს ასულ ნადირაძის დღიურიდან:** „როცა ომი დაიწყო და დამთავრდა კიდეც, მე დაბადებულიც არ ვიყავი. რომ წამოვიზარდე, კარგად მახსოვს რა ნაღვლიანად გაიხსენებდნენ ხოლმე ჩემი პაპა და ბებია ომში დაღუპულ შვილს. პაპა ისე გარდაიცვალა, ვერ გაიგო სად, რომელ მხარეში დაიღუპა როსტომი. 1965 წლის მარტში ლვოვის ოლქის მოსტინის რაიონის სოფელ მალნოვოს რვაწლიანი სკოლის პიონრებიდან წერილი მივიღეთ“...

**ამონაწერი მალნოველი პიონერების ბარათიდან:**

„ძვირფასო ამხანაგებო!

... ჩვენი სოფლის მცხოვრებლები და მათთან ერთად ჩვენც სათუთად ვინახავთ დაღუპულ გმირ-მესაზღვრეთა ხსოვნას. ისინი საზღვრის დამრღვევებთან ბრძოლაში დაეცნენ.

ჩვენს სკოლასთან განისვენებს ნეშტი გმირი მესაზღვრის როსტომ გაბრიელის ძე ნადირაძისა, რომელიც 1945 წლის 8 თებერვალს დაიღუპა. ვუვლით მის საფლავს და გვინდა ისეთივე მამაცნი ვიყვნეთ, როგორიც ის იყო.

ჩვენ გვინდა გავიცნოთ მისი ახლობლები: მამა, დედა, ძმები და დები.

მოგვწერეთ, როგორ სწავლობდა სკოლაში, სად მუშაობდა საბჭოთა არმიაში გაწვევამდე.

დე, მისმა მახლობლებმა მოგვწერონ.

გააცანით ჩვენი წერილი სოფელ აბისის მოსწავლეებს. დაე, მათ უფრო ბევრი რამ შეიტყონ როსტომ გაბრიელის ძის ბავშვობაზე, სიჭაბუკეზე, მოგვწერონ ამის შესახებ ყველაფერი.

პიონერული სალმით —

მე-6 კლასის პიონერული რაზმის საბჭო“.

. . . . . . . .

უმცროსმა ძმამ ლვოვის ოლქში, სოფელ მალნოვოში ჩააკითხა უფროსს... 20 წლის შემდეგ...

**ნათელა ნადირაძის დღიურიდან:** „მამა 1965 წლის აპრილში წავიდა. ნახა ბიძიას საფლავი. იტირა. საფლავი ისე მოვლილი ყოფილიყო, გაკვირდა. ძალიან აფასებდა თურმე ხალხი და მთელი რაიონი. ორი წელი ამ სოფელში იდგნენ და როსტომი ძალიან გვიყვარდაო. მან ჩვენი სიცოცხლე დაიცვაო... ყველა ტიროდა თურმე. მამამ ხალხი და კომისარიატი ძლივს დაითანხმა, როსტომი აბისში წამოასვენა. ბიძიას ბიუსტი ისევ იქვე დატოვა თურმე სკოლამ. ერთი ღამე სკოლაში დაასვენეს და საპატიო ყარაულიც იყო. მეორე დღეს დიდი მიტინგი მოაწყვეს. მამას აბისში წამოჰყვნენ იმ სკოლის დირექტორი, პიონერთა ხელმძღვანელი და ერთიც მეექვსე კლასელი. დაესწრნენ ბიძაჩემის დაკრძალვას... სურათებიც გადავიღეთ. დავათვალიერებინეთ ჩვენი ღირსშესანიშნავი ადგილები. გავაცილეთ მატარებელზე. მიწერ-მოწერაც გვაქვს ერთმანეთში... მე მეამაყება, რომ ასეთი ბიძა მყავს! მე მინდა მისი ამბავი სხვებმაც გაიგონ. მეკითხებოდნენ, როგორი იყო ბავშვობაში და სიჭაბუკეში როსტომ გაბრიელის ძეო. აბა, მე რა ვიცი...“

**ავტორისეული:** მე ვიცი, როგორი იყო იგი. კარის მეზობლები ვიყავით, ბავშვობა ერთად გავიარეთ. შრომისმოყვარე იყო, სულ არ ყოყოჩობდა, ერთგული იყო ოჯახისა, მეზობლებისა, თანატოლებისა. ქართლის მთვარიან ღამეებში გოგო-ბიჭები ლხინს რომ გავმართავდით, კარგი პატრონივით დაგვხედავდა. შინ დროზე გაგვირეკავდა და წინ გაგვიძღვებოდა. დინჯი იყო, ასაკის შეუფერებლად დინჯი. და ამ დინჯ ბუნებაში თურმე გმირული სული კაშკაშებდა!..

ამიტომ ვუწოდე ამ ნარკვევსაც: „უბანი, სადაც გმირები ცხოვრობენ“.

ნაზი კილასონია



ქ. მარქსის ... სსრ
სახელმ... ...
ბიბლ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „სულიკო"

ამ ორმოცი წლის წინათ, მოსკოვში გაიმართა ქართული ხელოვნების დეკადა, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა. მე, როგორც გულშემატკივარი, არ მოვშორებივარ დეკადის მონაწილეებს — დაახლოებით 39 კონცერტს დავესწარი. ყველა კონცერტზე ასრულებდნენ სიმღერა „სულიკოს", რომელსაც დიდი წარმატება ხვდა. ამ სიმღერის შესრულების მეორე დღესვე მას მთელი მოსკოვი მღეროდა. მოსკოვიდან მის ავტორს, ჩემს ნათესავ ბარბარე (ვარინკა) წერეთელს მოსალოცი წერილი გამოვუგზავნე.

ახლაც ხშირად ვისმენ ამ მშვენიერ სიმღერას. მას გადმოსცემს ხოლმე როგორც ჩვენი, ასევე მოსკოვის ტელევიზია და რადიო.

უსმენ „სულიკოს" და გული გწყდება, რომ მისი შესრულებისას არავინ ახსენებს ავტორის გვარს. არ ვიცი, რას მივაწერო ეს გარემოება. „ხალხური, ხალხურიო", — — გაიძახიან. ჩვენს ხალხს თავის მუსიკალურ საგანძურში ისედაც ბევრი შედევრი აქვს შემონახული! მაგრამ ის, რომ „სულიკოს" მელოდია ქართველი ქალის—დიასახლისის შეთხზულია, თავმოსაწონიც არის და საამაყოც.

ბარბარე (ვარინკა) წერეთელი ზესტაფონის ახლოს, სოფელ ცხრაწყაროში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. იგი ყოველი საზოგადო, საქველმოქმედო საქმის აქტიური მონაწილე და ხელისშემწყობი იყო: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება იქნებოდა ეს თუ თეატრის აგების საქმე, ღარიბი სტუდენტების დახმარება ან სხვა რამ.

ამასთან, ერთად, მშვენიერი ხმა ჰქონდა. ერთმა ჩემმა მოხუცმა ნაცნობმა მიამბო: იმ საზოგადოებაში ყოფნას არაფერი სჯობდა, სადაც ვარინკა იქნებოდა. და თუ იმ სტუმრობას, აკაკის მეორე მშვენიერი ლექსის „ციცინათელას" ტექსტზე სიმღერის შემქმნელი დავით ფალავაც დაესწრებოდა, საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდაო.

აკაკი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობოდა თავის მშვენიერ რძალს (ვარინკა წერეთლის ქალიშვილობის გვარი მაჭავარიანი იყო). მასვე უძღვნა თავისი პოეზიის ერთ-ერთი შედევრი „მოხუცი და ახალგაზრდა", ვარინკას და ანასტასია მაჩაბელს კი — „რამ მომარჩინა".

„სულიკოს" შექმნის შემდეგ აკაკიმ ვარინკას გაუგზავნა თავისი პორტრეტი წარწერით: „ჩემ ბულბულ სულიკო-ვარინკას". ერთ-ერთ საზოგადოებაში ვარინკა შეხვედრია დიდ ილიასაც. ილიას მოსწონებია ახალგაზრდა ქალის სიმღერა და ხუმრობით უთქვამს: ეგ მიკერძოებაა, ქალბატონო, სულ აკაკის ლექსებს მღერით და ჩემსას კი არაო.

— ჩემს ერთ შვილს გეფიცებით, შემდეგ შეხვედრაზე უეჭველად თქვენს ლექსსაც გიმღერებთო — დაპირებია ვარინკა.

მაგრამ დაპირება ვერ შეუსრულებია, რადგან მათი შეხვედრიდან ცოტა ხნის შემდეგ ილია დაიღუპა...

ვანო მაჩაბლის ოჯახში ვარინკას სიმღერა ფონოგრაფზე ჩაუწერიათ.

მოსკოვის დეკადის შემდეგ, „სულიკოს" მთელ მსოფლიოში გაუვარდა სახელი. ყველა ამ სიმღერას ღიღინებდა, მღეროდა. მრავალმა გამოჩენილმა მომღერალმა და გუნდმა შეიტანა იგი თავის რეპერტუარში.

მახსოვს, ერთხელ, რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში ერთ-ერთი გამოჩენილი რუსული გუნდის კონცერტი გაიმართა. გუნდს ასევე გამოჩენილი პროფესორი სვეშნიკოვი ხელმძღვანელობდა. დარბაზში ტევა არ იყო. კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. სიმღერა სიმღერას მოსდევდა, ტაში არ ცხრებოდა. მაგრამ, აი, გუნდმა „სულიკო" შეასრულა. ამ სიმღერასაც, რა თქმა უნდა, დიდი წარმატება ხვდა.

სიმღერის შესრულების შემდეგ პროფესორი სვეშნიკოვი დარბაზისკენ მობრუნდა და ტაშის დაკვრა დაიწყო, მას გუნდიც აჰყვა. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც სვეშნიკოვი დარბაზში ჩამოვიდა, ტანმორჩილ, მოხუც ქალს ხელი მოხვია და დიდი პატივისცემით აიყვანა სცენაზე. ეს იყო „სულიკოს" ავტორი ვარინკა წერეთელი. დარბაზიც აჰყვა მომღერლებს და დიდი ოვაცია გაუმართა გულით გახარებულ მოხუც ქალს. მერე გამოირკვა, რომ თბილისში ჩამოსული ვარინკა კონცერტზე საგანგებოდ მიიწვიეს. დიდი ზეიმით დამთავრდა ის საღამო.

ბავშვობიდან ვიცნობდი ამ ჩინებულ ქალს. ჩემი ნათესავი იყო, მაგრამ მისი ხმა არ მომესმინა. სულ ახალგაზრდა ვიყავი, როდესაც ერთადერთი ვაჟი გარდაეცვალა. მის შემდეგ რამდენიმე წელი ბნელ ოთახში ჩაიკეტა შვილზე მგლოვიარე დედა. მერე ცხოვრებამ აიძულა საზოგადოებაში გამოსულიყო, მაგრამ არასოდეს უმღერია.

გულუხვი იყო, სტუმართმოყვარე. მარჯანიშვილი რომ კინოფილმ „დარისპანის გასაჭირს" იღებდა, ფილმის ერთ-ერთი ეპიზოდი ვარინკას ეზოში გადაიღეს. დიასახლისმა ხელგაშლილად მიიღო საპატიო სტუმრები.

ვარინკას ძველთაგან შემორჩენილი რაღაც ლამაზი ნივთი ჰქონია. მარჯანიშვილს მოსწონებია ეს ნივთი. დიასახლისს მაშინვე მიურთმევია იგი სახელოვანი რეჟისორისათვის. მარჯანიშვილი შეუცბუნებია ამ ქალის გულუხვობას და არაფრით არ მიუღია საჩუქარი, მაგრამ წარმოიდგინეთ მისი გაოცება, როცა შინ დაბრუნებულმა ეტლში სათუთად გახვეული ის ნივთი იპოვა!

ამბობენ სიკვდილის წინ თავის ნათესავ ქალს სთხოვა რადიო ჩართეო და საოცარი რამ მოხდა: გუნდი „სულიკოს" მღეროდა.

ქალს თურმე ცრემლი წასკდა, „ვაი შენს ვარინკასო" — თქვა, საბანი წაიხურა და გარდაიცვალა.

წავიდა, მაგრამ დარჩა მის მიერ შეთხზული სიმღერა „სულიკო", რომელიც ახლაც ახარებს და კიდევ ბევრჯერ გაახარებს ადამიანის გულს.

მოდით, ამ მშვენიერი სიმღერის შესრულების დროს ნუ დავივიწყებთ მის ავტორს, ჩინებულ ქართველ ქალს ბარბარე (ვარინკა) სპირიდონის ასულ მაჭავარიან-წერეთლისას.

**პაპუნა წერეთელი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მედეა შავლიაშვილი



# შეშა

მხატვარი ნანი შალიკაშვილი

მოთხრობა

კაცი წავიდა.

ქალმა იქვე ჩაიმუხლა, სადაც იდგა. მერეც დიდხანს ესმოდა საზარელი ზრიალი და ხმაური. გაჯახუნებული კარისა და აზანზარებული ფანჯრების ხმაური.

გარეთ თოვდა.

ქარი ჩაწყნარებულიყო.

ხშირი და მსხვილი ფანტელები მაღლიდან ჩამოშვებულ ფარდასავით ფარავდა ყველაფერს და ქალს მოეჩვენა, რომ სადღაც აკლდამაში თუ გამოქვაბულში იყო, მთელი ქვეყნისაგან მოწყვეტილი და გადაკარგული.

თუნუქის ღუმელში ცეცხლი ღუღუნებდა. ნეკერჩხლის შეშა მხიარულად ტკაცუნობდა. ალი რატომღაც ნიშნს უგებდა ქალს, კარში დატოვებული სანიავოდან წარამარა იჭყიტებოდა და ენას უყოფდა. მერე ისევ შიგნით შერბოდა, ფერს იცვლიდა, ალქაჯივით იგრიხებოდა, ხან მაღლა ხტებოდა, ხან მუხლებში იკეცებოდა. ერთხანს დიდი ჯირკის კოჟრს ეხვეოდა, ეფერებოდა, მერე ისევ თავიდან იწყებდა ველურებისა თუ ჯადოქრების ცეკვას.

ბავშვები საჩეხში შეყუჟული ბეღურებივით გაყუჩებულიყვნენ. ბიჭი საწოლქვეშ ტანკების დანაყოფს შეტევაზე გადასასვლელად უჩუმრად ამზადებდა. არც ტყვიამფრქვევის ჩვეულებრივი კაკანი ისმოდა, არც ტყვიების სტვენა და ზუზუნი.

გოგო — კონტურებშემოხაზულ ნახატებს აფერადებდა ჟურნალში. ფეხის წვერებს იატაკს ვერ აწვდენდა.

ორივეს ისე ეჭირა თავი, თითქოს, არც ჩხუბის ხმა გაეგოთ, არც მამის წასვლა შეენიშნათ.

ამ ბოლო დროს მაინც საოცრად გახშირდა იმათ ოჯახში ჩხუბი და დავა. ადრინდელმა სიტკბოებამ და მყუდროებამ სულ ამოიკვეთა ფეხი.

სულ უჩხუბრად ცხოვრება ალბათ შეუძლებელიც იყო და უხალისოც. რადგან ჩხუბის სიმწარეს შერიგების სიხარული მოსდევდა და ის სიხარული ცხოვრებას ალამაზებდა, მაგრამ ჩხუბიც ჩხუბს გააჩნია.

ეს კი ალბათ უკანასკნელი ჩხუბი იყო.

თუნუქის ღუმელში ალი დაშოშმინდა. ნუერიანი ჯირკი გავარვარებულ ნაკვერჩხლებად დაიშალა. ალმა ენა დაიმოკლა. ხანდახან კიდევ შეითამაშებდა ხოლმე, ღუმლის კარიდან საკვამლე მილამდე დაურბენდა დავლურს, მაგრამ ძველებურად ქუდს ჭერში ვეღარ ისროდა, სახურავს ვერ აწვდენდა ხელებს.

პატარებმა დედას წიგნის წაკითხვა მოსთხოვეს. რაკი ადრევე დაპირდა, უნდა შეესრულებინა. სიტყვის გატეხა არ იქნებოდა.

თავიდანვე აგრე დადგინდა: წიგნის წაკითხვა პატარა დღესასწაული უნდა ყოფილიყო ოჯახში. ამიტომ ამ დღესასწაულისათვის საგანგებოდ ემზადებოდნენ. მაგიდას გადასწმენდნენ, ოთახს ჩამოგვიდნენ, თვითონაც მოწესრიგდებოდნენ. თმაგაწეწილების და ცხვირპირდამურულებისათვის წიგნი არ გადაიშლებოდა. არც დანაშაულჩადენილები იყვნენ წიგნის წაკითხვის ღირსნი.

წაკითხვის მოლოდინში, ვინ იცის, რამდენჯერ იკითხავდნენ: „ხომ კარგად ვიქცევით, დედა, ხომ არაფერი გაწყენინეთ?“

წამკითხველსაც უნდა დაევიწყა ყველა დარდი თუ გაჯავრება და ღიმილი დაეფინა სახეზე. ხმა რომ ხმა იყო, იმასაც მნიშვნელობა ენიჭებოდა. ის ხმაც მშვიდი და მოალერსე უნდა ყოფილიყო.

ქალმა ღუმელს გადახედა. წითლად გავარვარებულ გვერდებს უკვე ფერუმარილი ჩამოსცლოდა, უკვე დაშავებულიყო. ნაკვერჩხალს თხელი ზეწარივით წამოეფარებინა ავლი.

შუშაბანდის სიფრიფანა კედლებიდან სიცივე ძალაობდა.

უცებ ვიღაცის ნაამბობი გაახსენდა: საბავშვო ეტლში ჩაძინებული ბავში დღისით აივანზე რომ დაეტოვებინა დედას, სუფთა ჰაერი ისუნთქოსო და ორი საათის შემდეგ შეილმკვდარ დედად ქცეულიყო. „იქამც იყოს, — გაიფიქრა შეშინებულმა და პირჯვრის დასაწერად აწეული ხელი შუაგზაზე შეაჩერა,—ეგ ჩრდილოეთში მომხდარა, მაგისთანა რამე ჩვენთან შეუძლებელია“, — გული დაიმშვიდა, მაგრამ მალე მიხვდა ვერაფერი ნუგეში იყო, რადგან თუ ახლა თერმომეტრი მინუს რვას აჩვენებდა, ვინ იცის ღამით სადამდე დავარდებოდა.

საათს დახედა: რვას უახლოვდებოდა ისრები. ორივეს საჩქაროდ გახადა, ბამბაზიის ღამის პერანგებზე ღუნღლიანი კოფთები შემოაცვა, თავზე თბილი ქუდები ჩამოაცვა, ლოგინში ჩააწვინა და ორი საბნის ზევიდან თბილი შალი დაახურა.

თვითონ პალტო მოიხურა, გვერდით მიუჯდა, თავზე იძალავა, ღელვა დაიოკა და თანაბარი ხმით დაიწყო კითხვა.

ძალიან ცდილობდა ყურადღება წიგნზე გაემახვილებინა, მაგრამ ვერ ახერხებდა. წარა-მარა ეშლებოდა, ენა ებორძიკებოდა და როცა პატარების ნაზი ფშვინვა შემოესმა, ისე, თავისუფლად ამოისუნთქა, თითქოს დიდი სასჯელი მოეხსნას ვინმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღუმელი თავისთავსლა ათბობდა. ნაკვერჩხალი თეთრად ნაღვერდლდებოდა.

ოთახში ისეთი სივიწროვე იყო, კატა კუდს ვერსად მოიქნევდა. საწოლებთან მიჯრით მიწყობილი კარადების გვერდით რამდენიმე ჩემოდანი ერთმანეთზე შეეხორხლათ. ზედ ქაღალდში გახვეული და კანაფგადაჭირებული თეთრეული ეწყო, — სამრეცხაოდან მოტანილი კაცის პერანგები.

ის პერანგები მუდამ ისე ლამაზად იყო დაუთოვებული და დაკეცილი, მაღაზიაში ახლად ნაყიდსა ჰგავდა. ბევრი ცდილიყო, ვერა დიასახლისი ვერ დაკეცავდა ასე უხინჯოდ. კაცის პერანგები — უსულო მანქანების მიერ გარეცხილი და დაუთოვებული იყო, მერე რომელიმე თანამშრომლის მიერ გულგრილად გახვეული და სარკმელში გადმოწოდებული. არც გამრეცხის ვინაობა-სადაურობას ჩიოდა ჩამცმელი, არც პატრონის ამბითა თუ გემოვნებით ინტერესდებოდა გამკეთებელი. უსულგულო ციფრებით დადაღული გადადიოდა ხელიდან ხელში და იმავ ციფრების მეშვეობითვე ბრუნდებოდა უკან.

უნებურად ქალს დედის მიერ გარეცხილი თეთრეული წარმოუდგა თვალწინ.

მამის პერანგები მუდამ ცალკე ირეცხებოდა. სხვა სარეცხში არ გაირეოდა. თოკი საგულდაგულოდ სუფთავდებოდა და ჯერ პერანგები იფინებოდა, მერე საცვლები. არც სხვა საგანს შეურევდა დედა იმ მწკრივს, არც იმათ გაფენდა სხვა თეთრეულთან. როგორც კი ოდნავ შეშრებოდა, ყველა საქმეს თავს ანებებდა და იმ პერანგებს აუთოებდა. ჯერ ერთსა სცდიდა. ხანდახან დანარჩენებს ისევ ცივ წყალში ყრიდა თახახი მეტი მომსვლიაო.

მამის პერანგებისათვის უთოც საგანგებოდ ხურდებოდა. ნახშირის უთოს წინ და უკან იმდენ ხანს იქნევდა, სანამ ნაკვერჩხალი წითლად არ გაღუვდებოდა, სანამ პაწაწინა ნატისუსალიც არ გადმოვარდებოდა თუჯის დაჩვრეტილი გვერდებიდან.

უთოს მცხუნვარებით სახეალეწილ პერანგებს საკიდარზე ჰკიდებდა და თან ერთჟავად ღიღინებდა.

გათახახებულ პერანგს რამდენჯერმე შეატრიალ-შემოატრიალებდა ხელში: ემანდ ნაკეცი არსად დამჩნეოდა, ემანდ უადგილო ადგილას არ გატეხილიყო თახახი.

მამა ლიუდოვიკო მეთოთხმეტის დილის ტუალეტის ცერემონიალს ეძახდა პერანგების რეცხვა-უთოობის და კარადაში ჩამომწკრივების პროცესს. იმ დროს უსათუოდ დედის სიახლოვეს იჩენდა საქმეს. თავს დასტრიალებდა. ეშმაკურად იღიმებოდა, დედას ტკბილად დასცინოდა და შვილებს თანამზრახველივით თვალს უკრავდა. ჩაცმის დროს უთუოდ წუნს რამეს მოუნახავდა: „ნახე ქალო, საყელო როგორ აგიპრეხია, შენ სულ აიღე ჩემზე ხელი, დედაკაცო“, ეუბნებოდა და ისევ შვილებს უპაჭუნებდა თვალს. ხოლო თუ ქალს მარტოს დაიხელთებდა ნაოჭმომრავლებულ ყვრიმალში შვილების ნამალავად კოცნიდა.

„ნუთუ იმათ არც სივიწროვე აწუხებდათ და არც სიღატაკე, რომ არასოდეს ჩხუბობდნენ, როგორ არა ჩხუბობდნენ.

იმ დილას რაღაცაზე ადრიანად გაწყრა დედა. კარი გაიჯახუნა და ძალოანთას, ქვევითა სოფელში წავიდა. ცეცხლზე შემომდგარი ლობიო, ნახევრად ჩარსავგამოკრული საბანი, ფილაქანდაუგველი საჩეხი, დაუპურებელი კრუხჭუჭულა თუ უსალაფავოდ დარჩენილი და აჭყივლებული ღორი, ყველაფერი ღვთის ანაბარად მიატოვა და წავიდა. მამა უცხო ეზოში მოხვედრილი მამალივით დადიოდა აბუზული. ხან რას ედებოდა, ხან რას. ძაღლი გადააბა, ღორი დააპურა, ლობიოს ცეცხლი გაუძლიერა. ცეცხლი გაუძლიერა და წყალი ერთბაშად ამოაშრო. ლობიო ისე გასქელდა, რომ როცა მიუჩვეველი ხელით ამოზელა დაუპირა, ხის კოვზი ხელში შემოატყდა. მერე ღომივით ჩაცეხა. ხოლო როცა მარილით შეკაზმა მოინდომა, სამარილე ზედ ქვაბის თავზე დაიჭირა, და კოვზზე გადმოყრას შეეცადა. მარილი მოზვავდა და მთელი სამარილე ქვაბში ჩაიცალა. სუფსარქისის წუმივით დამლაშდა ლობიო. ვერცერთი ბავშვი ველარ მიეკარა. ხმელ პურზე და ყველზე გადაიარეს.

მზე ბროწეულებს არ მიჰფარებოდა, ქაქანით ამოვარდა დედა.

— ეგრეც ვიცოდი, ბალღებს მშივრებს დამიხოცავდი, — აჯუჯღუნდა ხმამაღლა და ნათარეშალს დამსგავსებულ სახლში ჯარასავით დატრიალდა. ლობიოს ქვაბში მთელი დოქი წყალი მოაპირქვავა, ხელახლა წამოადუღა, თან კოვზით ურევდა, ამოზელილი არ მიიწვასო ქვაბმა.

„ეგეთი თხელი წვენი არ მინდა, თვითონ ლობიო მინდაო“, — გაჭირვეულდა ნაბოლარა.

დედამ ტაფაზე ხახვი ისე მოდაღა ერთიანად გაავარდისფერა. ჭრელი ქათმისეული სამი ვეებერთელა კვერცხი კარგად გათქვიფა, ხახვთან ერთად ქვაბში ჩაასხა და გასქელებულ შეჭამანდს ნელ ცეცხლზე ფშვინვა დააწყებინა.

მამა დაზავების მომხრე მომიჯნესავით დასდევდა უკან. მომცრო ქოცოს თავი მოხადა, ჯერ თვითონ გაუსინჯა ჭაშნიკი, მერე ჭიქა უმცროს ბიჭს გადაულოცა და ისე, რომ დედას გაეგონა, ხმამაღლა უთხრა:

— ქვევრის თავზე დალიე დედაშენის სადღეგრძელო. ღმერთმა მაგისი თავი ნუ მოგვიშალოს. უმაგისოდ კაპიკია ჩვენი ფასი.

დედამ სუფრა გაშალა და ლობიოთი გაპიპინებული ჯამი პირველად მამას გაუწოდა, მერე ბალღებს ჩამოურიგა.

...ქარმა ქალს ისევ შეახსენა თავი, შემოუქროლა, სქელი ფარდები დაარხია და ფიქრებში წასული სააქაოს დააბრუნა.

ქალმა პატარა სასადილო მაგიდა მჭიდროდ მიადგა ფანჯრებიან კედელს, რათა ფარდა დაემაგრებინა. მერე იმ მაგიდის წინა უჯრა გამოხსნა და ცალი თვალით დახედა ქაღალდის ჭრელ პარკებს, რომელშიაც წვნიანის მოსამზადებლად გამხმარი და დაკეპილი მასალა იდო. იმ პარკებს არც მარილი სჭირდებოდათ და არც კურთხევა. ქალის ხელი რას ერქვა, ქალიც და კაციც ერთნაირად ასხამდა ოთხ ჭიქა წყალს და ათიოდე წუთის დუღილის შემდეგ გამზადებული მიჰქონდა.

ღუმელი ერთიანად გაციებულიყო.

...ღუმლისა და ბუხრის დანთება მუდამ მამის მოვალეობა იყო. შეშასა ჩეხავდა, ქვევრსა ხეხავდა, ღორსა ფუფქავდა თუ ვენახს თოხნიდა, დედას გვერდიდან არ იშორებდა, რადგან იმასავით დროულად სხვა ვერავინ მიაწვდიდა სახეხს თუ სამართებელს, ნაჯახის სალესს თუ ცივი წყლით დათრთვილულ დოქს.

ერთის უძლურებას თუ უუნარობას მეორის ძლიერება და საქმის ცოდნა ავსებდა, ათანაბრებდა, ერთმანეთის დამატებად აქცევდა. საკაცო და სადედაკაცო მეტისმეტად განსხვავებული და განცალკევებული ჰქონდათ. და რადგან ორივე საქმე ოჯახში ერთნაირად საჭირო და სავალდებულო იყო, ერთმანეთის ხელები საკუთარივით სჭირდებოდათ მუდამ.

...მოულოდნელად ყურებმა გაჯახუნებული კარისა და აზანზარებული ფანჯრების ხმაური ისევ გაიმეორეს და გონებამ საოცარი სიცხადით აღიქვა, რომ კაცი წავიდა.

ალბათ სამუდამოდ წავიდა.

ქალი მაგიდასთან ჩამოჯდა და თავი ხელებში ჩარგო. უცებ უცხოელი ტურისტების ავტობუსი გაახსენდა. სიფრიფანა გოგოებით და ბიჭებით სავსე ავტობუსი. ყველას ტოტებგანიერი შარვლები ეცვათ. — წელში გამოწკეპილი, ბარძაყებზე გამოკრული. არც წინიდან და არც უკანიდან ბიჭი გოგოსაგან არაფრით განსხვავდებოდა. ულვაში იმათ არ გააჩნდათ და ქოჩორი. ქოჩორი კი არა, მხრებამდე ჩამოშლილ თმებს ბიჭები ისე წარამარა ივარცხნიდნენ თითებით, თითქოს ახლად დაქალიშვილებული გოგოები იყვნენ, პირველად შეიხსნეს ბაბთები და ნაწნავები გაიშალესო. თან იმ გოგოებივით კეკლუცობდნენ, თვალებს ნაბავდნენ და ქვეშ-ქვეშ იყურებოდნენ: ყველანი თუ გვამჩნევენ ახალ ყაიდაზე გამოჭრილები რომ ვართო. მთელ ავტობუსში არც ერთი თმამოკლე ბიჭი არ იყო და ქალმა გაიფიქრა, რომ რაკი ქვეყნიერება მაგისთანა ბიჭებით დასახლებულა, ომის საშიშროება სავსებით უნდა გამქრალიყო, რადგან მაგათნაირი მეომრებით და მებრძოლებით ომი მხოლოდ გასართობი თამაშობა იქნებაო.

ოთახში აცივდა და ქალს შეაკანკალა.

ყინვა აღარა ხუმრობდა. თუ გათენებამდე ასე იმძლავრებდა, მაგიდაზე ბროლის ტოლჩაში, წყალი გაიყინებოდა ამაღამ.

ბიჭმა ძილში რაღაც წამოიყვირა. ქვემეხის გასროლის ნიშანს თუ იძლეოდა. ქალი საწოლთან მივიდა. გოგოს ორივე ხელი ზევით ამოეღო. დედამ ლოგინში ჩაამალვინა და უცებ თავზარი დაეცა: ძალიან ჩაფუთნუ-

ლები ისე გაოფლიანებულიყვნენ, ძაფი არ შერჩენოდათ მშრალი. ასე დაძინებულებს ამალამ ერთი წამითაც რომ ამოეღოთ ხელი ლოგინიდან ფილტვების ანთებას ვერ გადაურჩებოდნენ. ჯერ პერანგები გამოუცვალა ფრთხილად, მერე ხაოიანი პირსახოცით კარგად გაამშრალა, ქვედა საბანი გამოაცალა და ერთის ანაბარა დატოვა. როცა მიხვდა ღუმლის ჩაქრობა ამალამ ბავშვებს უბედურებას უქადდა, შიშმა ხელფეხი გაუყინა და დაუდუნა. ისევ წამოდგა, კარადასთან მივიდა და უჯრაში ხელის ფანარს დაუწყო ძებნა. კარგად ახსოვდა, ფანარი გაფუჭდა. აღარ ინთებოდა. მაგრამ მაინც ეძებდა. ხელში სანთლის პაწაწინა ნალევი მოხვდა. მაშინვე წაეტანა. თბილი ქურთუკი ჩაიცვა, ხელთათმანები გაიკეთა და კარი გამოაღო. როცა სამზარეულოში სანთელს ანთებდა, მისეული ოთახების გამოკეტილ კარს შეხედა, გულმა რეჩხი უყო. ბინის ჩაბარება (რაკი მესამე ოთახში სხვა ცხოვრობდა) და ამ შუშაბანდში ერთი წლით სამადლოდ შემოხიზვნა მისი თავისნათქვამობა იყო. მშენებლების მიერ დათქმული ის ერთი წელი ლამის სამად შეთავდეს და კიდევ არ უჩანს ამ გაჭირვებას ბოლო. ქმარს ხმამაღლა არასოდეს წამოსცდენია საყვედური აუტკივარი თავის ატკივებისათვის, მაგრამ ქალი ყველა ჩხუბის ფარულ მიზეზად თავის გაიჭერაობასა და ამ გაჭირვებას თვლიდა.

დერეფანში გასვლა და ხელფეხის აკანკალება ერთი იყო. კიბეზე ბნელოდა. ფანჯრიდან ქარი უბერავდა, სანთლის ალს ალიცლიცებდა და კედელზე მკრთალ ჩრდილებს არბენინებდა. ერთი სართულიც არა ჰქონდა ავლილი, სადარბაზოს კარმა დაიჭრიალა. გულგახეთქილი შეჩერდა. კედელს აეკრა. სანთელს ხელი მიაფარა და ხმაურს ყური მიუგდო. არც ნაბიჯების ხმა ისმოდა, არც ჩურჩულისა. მოულოდნელად კარმა მძლავრად გაიჯახუნა. ისე შეხტა, სანთელი ხელიდან გაუვარდა და ჩაუქრა. ერთხანს ასე იდგა გულაძგერებული. მერე თვითონაც შემოუძახა თავს და დააშოშმინა. ეზოში მკლავმოხრილ ვეებერთელა ბოძზე ნათურა ბჟუტავდა და კიბის მოედნის ერთ კუთხეს ოდნავ ანათებდა. კედელს მოშორდა და იმ მკრთალ სინათლეზე ძლივსძლივობით იპოვა სანთელი. ათრთოლებული ხელით ძლივს აანთო. გული სულ უფრო და უფრო უმატებდა ძგერას. რამდენიმე საფეხური აიარა. შეჩერდა. რაკი დარწმუნდა ხმაური არსაიდან ისმოდა, ისევ განაგრძო გზა. ხელფეხი უკანკალებდა. ბოლო სართულიდან სხვენზე სახანძრო კიბე იყო მიმაგრებული. რკინის პირველ საფეხურზე შედგა და ზევით აიხედა. სხვენის ხვრელი დახურული იყო. კლიტე ისე, ყასიდად, სხვების თვალის ასახვევად ეკიდა. რადგან ბოლო სართულის მცხოვრებნი ჩიოდნენ: ზევით ვიღაცეები იყრიან თავსო. შიშს დიდი თვალები ჰქონდა, ხოლო ჭორს გრძელი ენა და ის ვიღაცეები ხან ქურდებად მონათლეს, ხან ზარის მოთამაშეებად და ხან მორფინისტებად. ერთხელ მილიციის რწმუნებულიც გამოიძახეს. მან სხვენზე საეჭვო ვერაფერი ნახა, მომჩივარნი კი დააჯარიმა უადგილო ადგილზე (სხვენზე) შეშის შენახვისათვის.

ქალს რკინის საფეხურები შუამდე არ აეთავებინა, როცა ზევიდან გოდების ხმა შემოესმა. გოდება გაავებულმა სისინმა თუ ჩურჩულმა დაფარა. ქალი რკინას შეეყინა. ქუჩაში ვიღაცამ გაბმით დაუსტვინა. სწორედ ამ დროს გაიჭრიალა სადარბაზო კარმა და ისევ წყნარად დაიხურა. მერე ცხადად და გარკვევით გაისმა ნაბიჯების ხმა, რომელიც გრძელ დერეფანში ყრუ ეხოდ მეორდებოდა. ნაბიჯებმა ჯერ ერთი სართული აათავეს, მერე მეორე და როცა მესამეზე, ქალის მიერ ღიად დატოვებული სადარბაზოს წინ შეჩერდნენ, სწორედ იმ დროს სხვენში ბავშვის ტირილის ხმა გაისმა. გაისმა და ისე უცებ შეწყდა, თითქოს ვიღაცამ დიდი ხელი დააფარა პირზე.

ძალაწართმეული თითებიდან გავარდნილმა სანთელმა ჯერ მაჯა დაუდაღა, მერე მოაჯირს დაეცა და ქვევით ხტომითა და ბრაგუნით ჩამოვარდა. სანთლის ბეტონის ფილაზე დაცემა და ქალის სახანძრო კიბიდან გადმოვარდნა ერთი იყო.

...ნიშადურმა ცხვირი ძალიან აუწვა, ქალმა თვალი გაახილა. მაშინვე ბავშვებს გადახედა. ორივენი მშვიდად ფშვინავდნენ. ქმარი ქალს დაკრუნჩხულ თითებს ძმარწყლით უზელავდა.

— იქ სხვენზე ვიღაცეები არ-რიან, — ძლივსძლივობით ჩამარცვლა ქალმა.

— არავინაც არ არიან, — მშვიდად უპასუხა ქმარმა. — ქარი დათარეშობს და თავის საკრავზე ქეიფობს.

ქალმა ღრმად ამოისუნთქა. გულზე მოჭერილი მუხრუჭი უცებ მოეშვა. თავი წამოსწია, ქმარს შეხედა და მოულოდნელად ნიშნის მოგებით შეეკითხა:

— შენ აკი დაბრუნებას აღარ აპირებდი?

— რას არ დავბრუნდებოდი, შენისთანა გულადი რომ სახლში მეგულებოდა. დედაჩემი გადავრიე. ლოგინში ჩაწოლილს გამახსენდა შეშა რომ აღარ იყო, შენ რისი ჩამომტანი იყავი.

მერე გვიან, როცა ღუმელმა მრავალჟამიერი დააგუგუნა, როცა გამხიარულებულმა ალმა ქალს კარში დატოვებულ სანიავოდან თანამზრახველივით თვალი ჩაუკრა, როცა კაცმა ბავშვებს ვარდისფერი ტერფები ფრთხილად დაუკოცნა და თავთავიანთ ლოგინში გადააწვინა, როცა ბალიში აფუმფულა და მეორეს გვერდით მიუდო, ქალმა მის მკლავზე მოხერხებულად დასდო თავი, ქმარს სახეში ქვევიდან ახედა და ჩურჩულით შეეკითხა:

— როცა ბინას მივიღებთ და შეშა აღარ დაგვჭირდება, მაშინ რაღა მოგაბრუნებს უკან?

— აღარაფერი, ძალიან სერიოზულად უპასუხა ქმარმა და ძარღვმაგარი თითები შავ თმაზე ფრთხილად გადაუსვა.

## გერმანული იუმორი

ჰანს როსლერი

# გულთ-მი-სანი

ერთი ქალი ახალგაზრდა კაცმა შეაჩერა.

— თქვენ ხომ სუსანა ხართ? — უთხრა მან ქალს.

— ბოდიშს ვიხდი...

— განა სუსანა არა გქვიათ? ან ჰო მითხარით, ან — არა.

— დიახ, სუსანა მქვია. მაგრამ, თქვენ რომ სრულებით არ გიცნობთ?

უცნობმა ქალს თვალებში ჩახედა.

— არც მე გიცნობთ. დღეს პირველად გხედავთ, მაგრამ ვიცი, რომ სუსანა გქვიათ.

— მერედა რა იცით?

—მე კიდევ ბევრი რამ ვიცი, — განაგრძო ახალგაზრდამ, — ვიცი, რომ გათხოვილი ხართ, ოროთახიანი ბინა და ბაღი გაქვთ, რომ თქვენს ქმარს ბრუნო ჰქვია, რომ ბავშვები არა გყავთ, ხომ ასეა?

— ზუსტად ასეა.

გუშინ ბევრი სარეცხი გქონდათ და თეთრეული ეზოში გაჰკიდეთ.

— ჰა, მაშასადამე, ჩვენს ეზოში ცხოვრობთ!

— არა, ტყუილია, — თქვა ახალგაზრდამ



ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჯიბიდან საქაღალდე ამოიღო, — ამ ქალაქში პირველად ვარ. აქ მხოლოდ დღეს დილით ჩამოვედი ბუქარესტიდან, აი, ჩემი ბეჭედდასმული პასპორტი და ბილეთი. ჯერ კიდევ ოთხი საათის წინათ საზღვარგარეთ ვიყავი.

— კი, მაგრამ რა იცით ეს ყველაფერი?

— ეს ჩემი საიდუმლოებაა! — განაგრძო ახალგაზრდამ. — მე კიდევ ბევრი რამ ვიცი. თქვენი ქმარი და ბატონი ფლემინგი ერთსა და იმავე ბიუროში მუშაობენ. ბატონი ფლემინგი დაქორწინებულია, ჰყავს ქერა ცოლი. ამას წინათ მისმა ცოლმა ახალი ქუდი შეიძინა, მაგრამ ეს ქუდი სულაც არ უხდება.

— რასაკვირველია, თქვენ ქალბატონ ფლემინგს იცნობთ!

— არა, ქალბატონი ფლემინგი თვალითაც არ მინახავს. მაგრამ, მოდით, ისევ თქვენზე ვილაპარაკოთ: რვა წლის წინათ გათხოვდით. გყავთ ერთი და, რომელსაც იმ კაცზე უნდა გათხოვება, რომლის შესახებაც ძალიან ცოტა რამ იცის. სამი დღის წინათ დედის წერილი მიიღეთ. იგი გწერთ, ამ კვირაში გესტუმრებითო. მართალია?

— ღმერთო ჩემო, გულთმისანი ყოფილხართ!

— სწორედაც რომ გულთმისანი ვარ... ოღონდ, მინდა ჩემი ცოდნა სხვებსაც გავუზიარო. თუ მოისურვებთ, თქვენც გასწავლით ამ გულთმისნობას.



—მაშ, უცნობი ადამიანებისა მეც ყველაფერი მეცოდინება?

— რა თქმა უნდა, ქალბატონო.

— მერე როგორ?

— როგორც მე, — წყნარად უთხრა ახალგაზრდამ, — ათი წუთის წინათ ტრამვაიში თქვენს უკან ვიდექი და, რასაც თქვენს მეგობარ ქალს ესაუბრებოდით, ყველაფერი წვრილად მოვისმინე!

გერმანულიდან თარგმნა

ნ. ბასილაძემ



# ჩვენი საოჯახო კლუბი

ამოჭერი და შეინახე!

## ავეჯის მოვლა

ავეჯს კარგი მოვლა უნდა.

ეცადეთ, ავეჯი გასათბობ ბატარეასთან და ღუმელთან ახლოს არ დადგათ.

რბილ ავეჯს მტვერს მტვერსასრუტით ან დაწნული საბერტყით აცლიან. საბერტყით გაწმენდის წინ ავეჯს გაწურული სველი ნაჭერი გადააფარეთ.

გაპრიალებული ან გალაქული ავეჯის ზედაპირზე ნუ დადგამთ სველ და თბილ საგნებს. მტვერი მშრალი ფლანელის ან ტილოს ნაჭრით უნდა გაწმინდოთ. გალაქულ ავეჯს ძლიერ აზიანებს სპირტი, ბენზინი, განსაკუთრებით კი, აცეტონი.

როგორ გავწმინდოთ გაპრიალებული ავეჯი? — ჯერ შევამოწმოთ, არის თუ არა ზედ ლაქები. თუ არის, ლაქები უნდა ამოვიყვანოთ:

ლაქებს პაპიროსის ფერფლი დააყარეთ, მერე ეს ადგილები დამწვარი კორპით („პრობკით") გააპრიალეთ. როცა ლაქები ამოვა, ფერფლი გადმოფერთხეთ და გაწმენდილი ადგილი ჯერ სველი შემდეგ კი მშრალი ჩვრით გააპრიალეთ.

გაპრიალებული და გალაქული ავეჯი შეგიძლიათ სპეციალური პასტებით გააახლოთ. ეს პასტები მაღაზიებში იყიდება.

ზოგჯერ ავეჯის დაფანერებული ზედაპირი აქა-იქ ამოიბურცება ხოლმე. ამობურცულ ადგილს რამდენიმე ფენად მოკეცილი ქაღალდი დაადეთ და თბილი უთოთი გააუთოვეთ. წებო გალღვება და ფანერს მიიკრავს.

ცხიმით დალაქავებულ რბილ ავეჯს ასუფთავებენ გაწმენდილ ბენზინში დასველებული ჩვრით.

ტყავგადაკრული ავეჯი უნდა გაწმინდოთ არყისა და ძმრის ნაზავში დასველებული ჩვრით. ავეჯი უნდა გაიწმინდოს მთლიანად და არა მხოლოდ დალაქავებული ადგილები.

ეცადეთ, რომ ავეჯი სწორ იატაკზე იდგეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ზოგიერთმა დეტალმა ფორმა დაკარგოს. თუ იატაკი სწორი არ არის ავეჯს დაქანებულ ადგილზე ხის ნაჭრები შეუდგით.

თუ უჯრები იჭედება, საჭირო ადგილებზე საპონი, პარაფინი წაუსვით ან ტალკი მოაყარეთ.

სარკეს მზის სხივების საპირისპიროდ ნუ დაკიდებთ. თუ არა და, სარკე შესაძლოა დაიბუროს. სარკეს მტვერი გადააცალეთ ოდეკალონში დასველებული ჩვრით. კარგად რომ იპრიალოს, სარკე გარეცხეთ ლილიან ცივ წყალში დასველებული ჩვრით. სარკეს ბუზები არ დააჯდება, თუ მას ხახვის წვენს გადაუსვამთ.

ავეჯის მტერია ხის ჭია. მისი აღმოჩენა ნახვრეტების მიხედვით შეიძლება. ეს ჭია ძალიან მალე მრავლდება და ავეჯს ერთი მეორის მიყოლებით აფუჭებს. მაღაზიებში იყიდება სპეციალური ქიმიური საშუალებანი, რომლებიც ამ ჭიას სპობს. მაგრამ თუ იგი ვერ იშოვნეთ, მაშინ გააკეთეთ ასეთი ნაზავი: 4 წილი სკიპიდარი, ერთი წილი ნავთი, ცოტაოდენი ნაფტალინი და გამდნარი თაფლის სანთელი. ამ ნაზავით ფუნჯი ამოუსვით ავეჯის ყველა ხვრელსა და ნაპრალს. პროცედურა რამდენჯერმე გაიმეორეთ. შემდეგ ეს ნაზავი მთელ ავეჯს გადაუსვით. ხვრელებში და ნაპრალებში შეასხურეთ ფორმალინისა და მარგანეცის ხსნარი. ბოლოს ხვრელებსა და ნაპრალებს გადაუსვით პარაფინი ან თაფლის სანთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმის კონსულტაცია

# დამნაშავე გული არ არის

ჰკითხეთ კარდიოლოგებს: ხომ ხშირია ასეთი შემთხვევა, რომ პაციენტი გულს უჩივის, სინამდვილეში კი იგი სავსებით ჯანმრთელი გულის პატრონია? ისე, ნამდვილად ავად კი არის, ოღონდ გული აქ არაფერ შუაშია. მაშ, რაშია საქმე?

გულის არეში ტკივილი, უსიამო შეგრძნება შესაძლოა ისეთმა დაავადებებმა გამოიწვიოს, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვს კარდიოლოგიასთან, მაგალითად, ქოლეცისტიტმა (ნაღვლის ბუშტის ანთება), ხერხემალზე მარილების დაგროვებამ, პანკრეატიტმა, კუჭუკანა ჯირკვლის ანთებამ და სხვა დაავადებებმა. ხშირად ჰორმონალური სისტემის მოშლილობაც არის გულზე იჭვის მიტანის მიზეზი (კლიმაქსის წინა პერიოდი).

ასეც ხდება, თერაპევტს შესჩივიან გული მაწუხებსო, დამნაშავე კი მხოლოდ მუცლის შებერილობა გახლავთ და მეტი არაფერი. ერთი ავადმყოფი მაგონდება, რომელსაც საგულდაგულო კარდიოლოგიური შემოწმების შემდეგ... კამის წყალი დაუნიშნეს.

დაწვრილებით მინდა შევჩერდე გულზე, მომჩივან, უფრო სწორად, ტყუილად მომჩივან ავადმყოფთა ერთ კატეგორიაზე. გამოცდილი თერაპევტი როგორც წესი, საკმაოდ იოლად არჩევს მათ ნამდვილად გულით დაავადებულთაგან. ერთი შეხედვით, ასეთი პაციენტი გვიხატავს სტენოკარდიის ტიპიურ სურათს: ტკივილი მკერდში, გულისცემა, ქოშინი. მაგრამ თერაპევტმა იცის, სტენოკარდიის დროს ეს სიმპტომები, როგორც წესი, განსაზღვრულ ვითარებაში ჩნდება, ხანგრძლივი არ არის და ვალიდოლის ან ნიტროგლიცერინის მიღებისთანავე ქრება. ზემოთნახსენებ შემთხვევისას კი ჩივილები, რაღაც გაურკვეველია. ავადმყოფმა არ იცის ზუსტად სად სტკივა—აქაც, იქაც — ყველგან. დიდხანს სტკივა თუ არა. შეიძლება ნახევარ საათს გასტანოს ტკივილმა, შეიძლება მთელ დღეს. როგორი ტკივილებია? ხან უჭერს, ხან ტეხავს, ხან ჩხვლეტავს. გამოკვლევების შედეგად ექიმი რწმუნდება — ავადმყოფს გული კი არა ნერვები აწუხებს.

რა უწყობს ხელს ამდაგვარი ნევროზის განვითარებას? — ხანგრძლივი ფსიქიური და ფიზიკური დატვირთვა, გადაღლა, უძილობა და კიდევ ბევრი სხვა ფაქტორი. ამ მიზეზებით, მეტწილად, ნევროზი სუსტი ნერვული სისტემის მქონეთ უჩნდებათ. ამიტომ „გულის დაავადების" სიმპტომებს თან ახლავს საერთო ნევროტიული მოშლილობა, დაღლილობა, აღგზნებულობა, თავის ტკივილი, ნაღვლიანობა, შიშები. აკვიატებულ შიშებს ეჭვიანი ადამიანები ძნელად უმკლავდებიან. ამას ხელს უშლის თანამედროვე ავადმყოფის საკმაო „სამედიცინო" განათლებაც. იგი უამრავ სამედიცინო სპეციალურ ლიტერატურას კითხულობს, ყველა დაავადებას თავზე „იზომებს" და, ბოლოს, ნახულობს კიდეც „თავის" დაავადებას. ნევროზით დაავადებული ადამიანის მდგომარეობა შესაძლოა სხვა მიზეზებმაც გააუარესოს, მკურნალი ექიმის გამოცდილებაში დაეჭვებამ, მისდამი, მისი რეკომენდაციებისადმი უნდობლობამ.

ასეთი ავადმყოფების მკურნალობა აუცილებელია. უარყოფითი ემოციები უკვალოდ ხომ არ ქრება. ოღონდ, მათ ჯანმრთელობას სხვა სპეციალისტებმა — ნევროპათოლოგებმა და ფსიქიატრებმა უნდა მიხედონ. თერაპევტმა კი უნდა დაადგინოს, აქვს თუ არა ავადმყოფს გულის ორგანული დაზიანება. ამისათვის მას გამოკვლევის საიმედო მეთოდები გააჩნია. ბიოქიმია, კარდიოგრაფია, ველოერგომეტრია, კორონაროგრაფია. მათი საშუალებით შესაძლოა გამოვლინდეს ყოველგვარი ფარული დაავადების ნიშნებიც კი.

ყოველივე ამის შემდეგ ექიმი პაციენტს უხსნის, რომ ნევროზი გულის ორგანულ დაავადებას არ იწვევს, მას მხოლოდ ორგანოს ფუნქციის მოშლა შეუძლია და არასდროს კატასტროფული შედეგები არ მოჰყვება. უკარნახებს რომელ ტკივილებს მიაქციოს ყურადღება. და თუ ურჩევს, მიმართოს ფსიქიატრს, ამან ავადმყოფი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დააფრთხოს! ექიმს უნდა ენდოთ!

ელეონორა გორსუკი,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.
„სოვეტსკაია უენშჩინა"

# კულინარია

## მუთანჯა ფლავი

ხუთასი გრამი გადარჩეულ-გარეცხილი ბრინჯი ჩაყარეთ მარილით შეზავებულ მდუღარე წყალში და ნახევრად მოხარშეთ. შემდეგ გადაიტანეთ თუშფალანგში და ზემოდან ცივი წყალი გადაავლეთ. სქელ ძირიან ქვაბში მოათავსეთ ორმოცდაათი გრამი ერბო ან კარაქი და დადგით ცეცხლზე. როცა გაცხელდება, ჩაასხით შიგ კარგად გათქვეფილი კვერცხი ან მრგვალ, ბრტყელ ნაჭრებად დაჭრილი კარტოფილი. ერთი ორი წუთის შემდეგ დააყარეთ გაწურული ბრინჯი, დაუმატეთ ასორმოცდაათი გრამი კარაქი ან ერბო, ქვაბს სახურავი დაახურეთ; დასველებული, გაწურული ტილო ქვაბსა და სახურავის ნაპირს შემოახვიეთ, რომ ორთქლი გარეთ არ გამოვიდეს ე. ი. ფლავს ლამი დაადგეს. ცოტა ხნის შემდეგ ქვაბს სახურავი ახადეთ და მასზე მოთავსებული წყალი გადმოწურეთ. ასე მოიქეცით რამდენჯერმე. ლამის მოხდის შემდეგ ბრინჯი გაფუვდება და ფლავიც მზადაა.

გარჩეული, გარეცხილი ორასი გრამი ქიშმიში ჩაყარეთ ქვაბში, დაასხით ნახევარი ჩაის ჭიქა წყალი (მდუღარე) და ხარშეთ ათი წუთი. შემდეგ ჩაუმატეთ შიგ გადარჩეული, გარეცხილი ორასი გრამი უკურკო შავქლიავის ჩირი და ხარშეთ ათ წუთს. შემდეგ ჩაყარეთ შიგ ერთ-ნახევარი ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, ნახევარი ჩაის ჭიქა თაფლი (შეიძლება უამისოდაც), ასი გრამი კარაქი ან ერბო და ათი-თხუთმეტი წუთი ხარშეთ.

მოხარშული ფლავი ლანგარზე გადაიღეთ, ზემოდან მოასხით მზა ტკბილი მასალა. ფლავის ძირში შემწვარი ერბო-კვერცხი დაჭერით და ლანგარზე მოთავსებულ ფლავს გარშემო ლამაზად შემოუწყვეთ.

თუ გსურთ, ფლავი ლანგარზე გადაიღეთ, ზემოდან დაჭრილი ერბო-კვერცხი დაალაგეთ, ტკბილი მასალა კი ცალკე ჭურჭლით მიიტანეთ.



## სადღესასწაულო სალათი

მოხარშული ან შემწვარი ხუთასი გრამი ქათმის რბილი ხორცი (ცივი) დაჭერით პატარა ნაჭრებად. დაუმატეთ ძალიან წვრილად დაჭრილი ორმოცდაათი გრამი მწვანე ხახვი, წვრილად დაჭრილი ორასი გრამი მწვანე სალათა, ერთი-ორი ცალი მაგრად მოხარშული დაკეპილი კვერცხი, წვრილად დაჭრილი რვა ღერი კამა, პილპილი, მარილი, ბროწეულის მარცვლები და ფრთხილად აურიეთ ერთმანეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკე დანაყეთ ნახევარი ჩაის ჭიქა ნიგოზი (თუ გსურთ დაუმატეთ ნიორი), აზილეთ წყალნარევ ღვინის ძმარში ან ბროწეულის წვენში (ღვინის ძმარი 8-4 სუფრის კოვზი, ანადუღარი ცივი წყალი 1-2 სუფრის კოვზი, ან ბროწეულის წვენი 6-7 სუფრის კოვზი) და აურიეთ ქათმის ხორცთან ერთად გამზადებულ მასალაში. მოათავსეთ სასალათეში, ზემოდან მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუშის ფოთოლი, ბროწეულის მარცვლები და მორთეთ მწვანილის ფოთლებიანი ღეროებით.



## ქათამი ფარშით

გასუფთავებულ, გარეცხილ დედალს ან ვარიას გარედან და შიგნიდან მარილი წაუსვით.

მარილით შეზავებულ წყალში ნახევრად ხარშეთ ბრინჯი ($^{1}/_{4}$-$^{1}/_{2}$ ჩაის ჭიქა). გადაიტანეთ თუშფალანგში და გადაავლეთ ცივი წყალი.

ცალკე მოხარშეთ ღვიძლი, თირკმელები, გული და კუჭი. შემდეგ დაჭერით წვრილად. დაუმატეთ ნახევრად მოხარშული ბრინჯი, უყავით თქვენს გემოზე მარილი, დანაყილი წიწაკა, ნიორი, ძალიან წვრილად დაჭრილი ქინძი (შეგიძლიათ დაუმატოთ აგრეთვე ტარხუნა და ქონდარი), დაფქული პილპილი და ერთმანეთში კარგად აურიეთ. მზა მასალით ამოავსეთ ფრინველის მუცლის ღრუ, ამოკერეთ ძაფით, წაუსვით კარაქი ან არაჟანი და შეწვით. შეწვისას პერიოდულად მოასხით შეწვის დროს წარმოქმნილი ცხიმიანი წვენი ან წაუსვით კარაქი.

შემწვარ ფრინველს მოაცალეთ ძაფი, ამოიღეთ ფარში, ფრინველი დაჭერით, ფარშთან ერთად დაალაგეთ ლანგარზე და მორთეთ გაფოთლილი ოხრახუშის ღეროებით.

**თამარ სულაქველიძე**

### კაპიტალის სამყაროში

# ძიძა

... პატარა სარა დომინზე მშობლებს მზე და მთვარე ამოსდიოდათ. ერთი წლის წინათ კი ბავშვს ძიძა გარდაეცვალა და უგამზრდელოდ დარჩა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს დომინების ოჯახს ახალი ძიძა გამოეცხადათ. იგი წვეთი წყალივით ჰგავდა პირველს. მან განაცხადა, გაზეთში წავიკითხე განცხადება, ბავშვები ძალიან მიყვარს და თანახმა ვარ პატარა სარას ძიძობა გავუწიოო. მშობლები სიხარულით დათანხმდნენ. აბა, რას მოიფიქრებდნენ, რომ ეს „ოპერაცია" სწორედ ძიძის გარდაცვალების შემდეგ შემუშავდებოდა...

... რამდენი რამის შესწავლა იყო საჭირო, თუნდაც მარტო იმისათვის, რომ „მსგავსებით" გული აეჩუყებინათ გამოუცდელი მშობლებისათვის და გოგონაც სრულად მინდობოდა მას. მართლაც, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ზღაპარშია. პატარა გოგონას გამოუჩნდა „კეთილი" გამზრდელი, რომელიც ყველაფრით ჰგავდა თავის საყვარელ ძიძას — ჩაცმით, ხმით, თმის ვარცხნილობითაც კი. მშობლები ძალზე კმაყოფილი იყვნენ. ძიძა კარგად უვლიდა ბავშვს, ათამაშებდა, ასეირნებდა; ეჭვი რომ არ აეღოთ, თითქმის ერთი წელიწადი ყველაფერი კარგად მიდიოდა...

ერთ დღეს ძიძა ბავშვიანად დაიკარგა. ბევრი ეძებეს, მაგრამ კვალს ვერ მიაგნეს...

გოგონას მდიდარი ბებია ჰყავდა, რომელიც მილანის ახლოს ცხოვრობდა და საკუთარი სავაჭრო ჰქონდა. წლების მანძილზე დაგროვილი კაპიტალი მილიარდებს შეადგენდა. მაფიას რას გამოაპარებ! და აი, ბავშვის დაკარგვის მეორე დღეს ცოლქმარმა გაიგო, რომ ძიძა სწორედ „მაფიიდან" იყო... შვიდ მილიარდ ლირას ითხოვდნენ! ეს ორი ჩემოდანია მსხვილი ბანკნოტებით სავსე...

ნათქვამია, ძალა აღმართს ხნავსო. „უხილავი გადამცემებიდან" მუქარა მუქარაზე მოდიოდა. თუ გამოსასყიდს დროზე არ გადაიხდით ბავშვს სიცოცხლეს გამოვასალმებთო:

და აი, 19 დღის ტყვეობის შემდეგ პატარა სარა სრულიად უვნებელი მშობლებს დაუბრუნდა.

ინტერვიუში ბავშვმა განაცხადა: „მე ვერაფერს ვგრძნობდი, რაიმე არაჩვეულებრივი თუ გადამხდა. როგორც ყოველთვის, იმ საღამოსაც ძიძამ გამასეირნა, ოღონდ სახლიდან ცოტა უფრო მოშორებით. უცებ მანქანა გაჩერდა, იქიდან უცნობი ძიები გადმოვიდნენ, მერე ორივეს პირი აგვიკრეს და მანქანით გაგვაქროლეს.

ჩემი მდგომარეობა თითქმის არაფრით არ შეცვლილა. საყვარელი ძიძა გვერდიდან არ მშორდებოდა და საძინებელი ოთახიც ზუსტად ისე მოეწყოთ, როგორც შინ მქონდა, სათამაშოები და ის ნახატებიანი ჟურნალებიც იქვე იყო, რომ არ მომეწყინა და დრო გამეყვანა. ჭამითაც კარგად მაჭმევდნენ. ოღონდ ოთახში ცოტა ციოდა და სურდო დამემართა. ვიღაც კაცები შემოდიოდნენ, ჩემს ძიძას რაღაცას ელაპარაკებოდნენ, მაგრამ სახე ყოველთვის დაფარული ჰქონდათ, მარტო თვალები უჩანდათ. დამთავრდა ჩემი ტყვეობის ვადა და შევხვდი საყვარელ მშობლებს. თურმე მათ რამდენი რამ გადაუტანიათ ჩემს გამო!..

იტალიურიდან თარგმნა
**ზაირა სტურუამ**

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ — ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ; ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲮᲔᲓᲘ. დ. იაკობაშვილის და ა. საკოვის ფერადი სლაიდები.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. ბურბენიძე, ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი. ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი)
ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, № რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 6/I-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/II-78 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^{1}/_{3}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3
ტირაჟი 126.000; შეკვ. 43 უე 07431 **ფასი 30 კაპ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომბინეზონის
თარგის
ნახაზი




# მათთვის, ვინც ქსოვა იცის



# 4-5 წლის ბავშვის კომბინეზონი

ასეთი მოხერხებული და თბილი კომბინეზონისათვის საჭიროა 450 გრამი ღიანაცრისფერი შალის ძაფი და სხვადასხვა ფერის ნარჩენი ძაფები ამოსაქარგად. ჩხირები უნდა იქონიოთ სწორი და წრისებური — 4 მმ.

## ქსოვის ნიმუში

1-რიგი: (უკუღმა) ქსოვეთ უკუღმა თვლებით.

მე-2 რიგი: ქსოვეთ წაღმა თვლებით.

მე-3-ე, მე-11 რიგები—ნიმუშის მიხედვით.

მე-12-ე რიგი: ქსოვეთ უკუღმა თვლებით. სახე მეორდება პირველიდან მეთორმეტე რიგამდე.

ნაქსოვის სიმჭიდროვე: 21 თვალი განში და 30 რიგი სიმაღლეში ქმნის ათ სანტიმეტრს.

## სამუშაოს აღწერა

კომბინეზონი ორი ნაწილისგან შესდგება. სწორ ჩხირებზე ღიანაცრისფერი ძაფით აასხით 75 თვალი, მოქსოვეთ 4 სანტიმეტრი სიმაღლის, „რეზინკა“ 1×1 და გადადით ნიმუშის ქსოვაზე. 45-ე სანტიმეტრზე დახურეთ ორივე მხრიდან ერთხელ სამ-სამი, ორჯერ ორ-ორი და ერთხელ თითო თვალი ყოველ მეორე რიგში. შემდეგ დახურეთ ნაპირა თვლები რიგის თავში და ბოლოში, დარჩება სულ 57 თვალი.

კომბინეზონის მეორე ნაწილიც ასე სრულდება.

კომბინეზონის ორივე ნაწილი გადაიტანეთ წრიულ ჩხირებზე (სულ 114 თვალია) და ქსოვეთ წრიულად. წრის დასაწყისი იქნება ზურგის შუა ადგილი. ეს ადგილი აღნიშნეთ სხვა ფერის ძაფით.

მესამოცე სანტიმეტრზე ყველა თვალი შემდეგნაირად გაანაწილეთ: პირველი 45 თვალი მოქსოვეთ „რეზინით“ 1×1, პირველი წაღმა თვალიდან დაწყებული 23 თვალი მოქსოვეთ ნიმუშის მიხედვით და 45 თვალი კი „რეზინით“ 1×1, პირველი უკუღმა თვლის დაწყებით.

მე-72-ე სანტიმეტრზე შეასრულეთ სახელოს ჭრილი. ამისათვის დახურეთ თვლები მე-23-დან დაწყებული 34-მდე და მე-80-დან დაწყებული 91-ემდე. დაგრჩებათ სულ 90 თვალი: 45-45 თვალი წინა და უკანა ნაწილზე. აქედან 23-23 თვალი წინა და უკანა ნაწილების შუა ადგილებისათვის და 11-11 თვალი ოთხი ბრეტელისათვის.

ილლიების შესრულების შემდეგ ისევ სწორ ჩხირებზე გადახვალთ. ზურგის ნაწილის დარჩენილი 4 რიგი ქსოვეთ „რეზინით“ 1×1 —და დახურეთ შუათაშა 23 თვალი. ორი ბრეტელის თვლები მოქსოვეთ კიდევ 5 სანტიმეტრის სიმაღლეზე და დახურეთ „სუზინით“. წინა მხარეც ასევე დაასრულეთ.

ა ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა. მზა დეტალებს თარგზე ნუ დაამაგრებთ და ნუ დააუთოვებთ! კომბინეზონი ამოქარგეთ სქემის მიხედვით, სხვადასხვა ფერის ძაფებით. შეკერეთ უკუღმა პირიდან. წინა ნაწილის ბრეტელების ბოლოს ყაისნალით ამოქსოვეთ თითო თვალი. უკანა ნაწილის ბრეტელებზე მიაკერეთ თითო ღილი.



კომბინეზონის
მოქარგვის სქემა



ИНДЕКС 76178